

ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით)

მირანდა მაჭარაძე*

I. შესავალი

1997 წელს ძალაში შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი¹ (შემდგომში – სსკ), რომელიც მიეკუთვნება პანდექტური სამართლის სისტემის კოდექსთა რიცხვს და, ძირითადად, ეფუძნება გერმანულ მოდელს.² თუმცა, რადგან სსკ-ის შემუშავება მოხდა იმ პერიოდში, როდესაც გერმანიაში მიმდინარეობდა ვალდებულებითი სამართლის რეფორმა, მას ბევრად მეტი საერთო აქვს 2002 წელს რეფორმის შემდეგდროინდელ გერმანულ კოდექსთან (შემდგომში – გსკ)³, უფრო ზუსტად, ვალდებულებითი სამართალთან, ვიდრე რეფორმამდელ გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს შევიდა ძალაში და ამიტომ აუცილებელი გახდა გსკ-ის მოძველებული დებულებების დროის მოთხოვნებთან ადაპტაცია.⁴ გერმანული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგები, რომელშიც აქტიურად იქნა გამოყენებული ვენის ნასყიდობის კონვენციის არაერთი დებულება,⁵ ასევე გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, აისახა სსკ-ში, რომელიც 1997 წლისათვის უფრო თანამედროვე იყო, ვიდრე გსკ 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე. მიუხედავად კანონმდებლის მცდელობისა, მაქსიმალურად მიახლოებული ნორმები გადმოეტანა სსკ-ში, არაერთი ნორმა ბუნდოვანი და ორაზროვანია და საჭიროებს ინტერპრეტაციას მათი შინაარსის სწორად გაგებისათვის.

სსკ აგებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებას ყოველთვის ახლავს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ამიტომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლების ანალიზი, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა და, მით უმეტეს, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიმართება ხელშეკრულების მოშლასთან, მეტად საინტერესო და აქტუალურია, განსაკუთრებით დამდგარი სამართლებრივი შედეგების კუთხით. ამავე დროს, ხელშეკრულებებში ხშირად არის ერთმანეთში არეული ტერმინები: „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულების მოშლა“. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ადგენს, რომელ ინსტიტუტს გულისხმობენ მხარეები.

* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

¹ პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, 31.

² ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 82.

³ German Civil Code, www.gesetze-im-internet.de/englisch-bgb/englisch_bgb.html (15.11.07).

⁴ გერმანიაში 2002 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა კანონი „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ“, რომელზეც რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა ჯერ კიდევ 1984 წლიდან. ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნისას აქტიურად იქნა გამოყენებული სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტები და. შეიძლება ითქვას, რომ სსკ მათი შეჯერებული ვარიანტია. იხ. *მაჩალაძე*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 72.

⁵ United Nations Convention on contracts for the International Sale of Goods, 1980, www.jus.uio.no/lm/un.contracts.international.sale.goods.convention.1980/doc.html (15.11.2007).

ნაშრომის მიზანია ხელშეკრულებიდან გასვლისა (უარი) და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების კვლევა მათი რეგულირებისას სსკ-ში არსებული ხარვეზების (მაგალითად, ტერმინოლოგიურ აღრევასთან დაკავშირებული) წარმოჩენის მიზნით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხორციელდება ახალი გერმანული ვალდებულებითი სამართლის ანალოგიურ ინსტიტუტებთან შედარების გზით, რათა გამოიკვეთოს ამ ინსტიტუტების არსი, მათი ზოგადი მახასიათებლები, ერთი მხრივ, ხელშეკრულებიდან გასვლის და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების მოშლის განმასხვავებელი ნიშნები, მათი განხორციელების შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგები. ეს ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტებს შორის განსხვავებების წარმოჩენას და, შესაბამისად, კოდექსის არსის სწორად გაგებას, რაც პრაქტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო საქმიანობაში ნორმის სწორად გამოყენების თვალსაზრისით.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის შედეგებით და ანალიტიკური მეთოდები. კვლევა ეფუძნება გერმანული და ქართული შესაბამისი ნორმების შედარებას და ამ გზით მიღებული ინფორმაციის ანალიზს დასახული მიზნის მისაღწევად.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან. I თავი ეთმობა შესავალს, II და III თავებში განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები ქართული და გერმანული სამოქალაქო კოდექსების ზოგადი ნაწილის ნორმების მიხედვით, IV თავში დახასიათებულია იგივე ინსტიტუტები ცალკეული ტიპური ხელშეკრულებების ჭრილში. ეს თავები ძირითადად ინფორმაციული დატვირთვის მქონეა, V თავი ეთმობა კვლევის შედეგად გამოვლენილი განსხვავებების ანალიზს არსობრივი და სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ხოლო დასკვნაში (VI) ასახულია კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

II. ხელშეკრულებიდან გასვლა

1. ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება

სსკ-ის 316-ე I მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს მოსთხოვოს შესრულება.⁶ ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მოთხოვნა მიეკუთვნება პირველად მოთხოვნათა რიგს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების – პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობის – შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მეორადი მოთხოვნების განხილვის საკითხი.⁷ ვალდებულების შეუსრულებლობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს: ვალდებულების დაგვიანებული შესრულებით (ვადის გადაცილება) ვალდებულების შეუსრულებლობით ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებით.⁸ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საუბარია ვალდებულების დარღვევაზე. ვალდებულების დარღვევას მოსდევს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგომა. დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობამ ზემოთ მოყვანილი რომელიმე ფორმით შეიძლება მხარე აიძულოს, საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მაგალითად, თუ მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს ან სულაც ერთ კონკრეტულ თარიღს

⁶ სსკ-ის 316-ე მუხლი.

⁷ *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი/შატბერაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2005, 182.

⁸ იქვე, მე-7 სქ., 182.

უკავშირებს (საქორწინო კაბის შეკერვა ქორწილის დღისთვის), ვალდებულების შესრულება ვადის გადაცილებით მის ინტერესს ხელშეკრულების მიმართ აზრს უკარგავს და, ბუნებრივია, უარს იტყვის ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის ძირითადი მიზანია, კრედიტორს მიეცეს შესაძლებლობა, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას.⁹ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით კრედიტორი თავისუფლდება შემხვედრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.¹⁰ თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა (*ultima ratio*), როდესაც ხელშეკრულების გაგრძელებას აზრი არა აქვს.¹¹ დარღვევის შინაარსიდან გამომდინარე, მხარემ შესაძლებელია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ვალდებულების დარღვევის ძირითადი სამართლებრივი შედეგი ზიანის ანაზღაურებაა, მაგრამ ხელშეკრულებაზე უარის უფლებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კომბინაცია სავსებით შესაძლებელია.¹² გასვლის უფლების გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოვალის ბრალეულობას.¹³

2. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ზოგადი წინაპირობები

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არსებობს ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად. პირველ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ ამ უფლების განხორციელების პირობებს, ხოლო როცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე, ამისათვის საჭიროა რამდენიმე წინაპირობის არსებობა, რომლებიც ზოგადია, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა ამ სქემის სრულად დაცვა არ არის აუცილებელი, ეს ქვემოთ იქნება განხილული. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების ზოგადი სქემა კი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა;
- ხელშეკრულების დარღვევა (მნიშვნელოვანი დარღვევა);
- დამატებითი ვადის დანესება (გაფრთხილება);
- ამ ვადის უშედეგოდ ამონურვა.

2.1 ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა

ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის საფუძველი – სახელშეკრულებო ურთიერთობა არის ნამდვილი და მხარეები სადავოდ არ ხდიან ნამდვილობის საკითხს.¹⁴ თუ ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, არ გავრცელდება 405-ე მუხლი და მიღებული შესრულების უზრუნველსაყოფად მითითება მოხდება არა 352-ე მუხლით გათვალისწინებულ რესტიტუციის წესებზე, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე. ამდენად, ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა.

⁹ *Markenit/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, 419.

¹⁰ იქვე, 419.

¹¹ *Graffi*, *Case Law on the Concept of "fundamental breach" in the Vienna Sales Convention*, <http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html> (17.12.2007).

¹² *Zimmermann*, *Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations*, Roma 2002, <http://w3.uniroma1.it/idc/centro/publications/48zimmermann.pdf> (15.12.2007).

¹³ იქვე, 39.

¹⁴ *ბიოლინგი/ლუტრინგაუსი/შატბერაშვილი*, მე-7 სქ., 249.

2.2 ვალდებულების დარღვევა

ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება რამდენიმე ფორმით გამოიხატოს, ძირითადად, ესენია: ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება, არაჯეროვანი შესრულება. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, დარღვევის რომელი ფორმაა სახეზე, მთავარია, რომ დარღვევა იყო მნიშვნელოვანი. გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე პერიოდში გსკ გამოყოფდა დარღვევის 4 ტიპს: შესრულების შეუძლებლობას, შესრულების ვადის გადაცილებას, ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას (*positive Vertragsverletzung* – ვალდებულების დარღვევა, რომელიც განაპირობებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას), არაჯეროვან შესრულებას.¹⁵ თუმცა რეფორმის შემდეგ ყველა ზემოაღნიშნული ფორმა გაერთიანდა ერთიან ცნებაში – ვალდებულების დარღვევა.¹⁶

ძველი გერმანული სისტემის ნაკლად ის ითვლებოდა, რომ მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის თითოეული დარღვევის მიმართ დაწესებული იყო განსხვავებული წინაპირობები. სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, არ არსებობს ისეთი განსხვავებული წინაპირობები დარღვევის რომელიმე სახისათვის, როგორც იყო 2002 წლის რეფორმამდე გერმანიაში. ნაკლის მქონე საქონლის მიწოდებისას მყიდველის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იყო 6 თვე ასეთი საქონლის მიწოდებიდან, მაშინ, როცა ვალდებულების შეუსრულებლობისას, ზოგადად, – 2 წელი, რაც ქმნიდა გარკვეულ სირთულეებს პრაქტიკაში.¹⁷ დარღვევის სახეების მიხედვით, განსხვავებული წინაპირობები იყო მხარეებისათვის გასაგებად და პრაქტიკული გამოყენებისთვის რთული და, ამასთან, უსამართლო შედეგების გამომწვევი. სსკ არ ითვალისწინებს მოთხოვნის ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს დარღვევის ამა თუ იმ ტიპის მიხედვით (ჩვეულებრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის არის 3 წელი)¹⁸. გსკ-ის მიხედვით, დადგენილია ხანდაზმულობის ზოგადი ვადები, ხოლო სპეციალური ვადები ცალკეულ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელ თავებშია, რაც აადვილებს კოდექსის გამოყენებას.¹⁹

ვალდებულების დარღვევა მოიცავს არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ შემთხვევებს, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება გახდეს: „პირის იმ უფლებისა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომელიც მას აქვს კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, ე.ი. ვალდებულება ყოველთვის ირღვევა მაშინ, როდესაც მოვალე არღვევს სახელშეკრულებო ან წინასახელშეკრულებო ვალდებულებას.“²⁰

2.2.1 არსებითი დარღვევა

სსკ, ისევე როგორც გსკ, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უკავშირებს არსებით დარღვევას, ამიტომ ხელშეკრულების დარღვევისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, არის

¹⁵ Schulte-Nolke, The New German Law of Obligations: an Introduction, <http://www.iuscomp.org/gla/literature/schulte-noelke.htm> (10.12.2007).

¹⁶ Lowisch, New Law of Obligations in Germany, <http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/r/r20/Manfred141.pdf> (12.01.2008).

¹⁷ Schulte-Nolke, მე-15 სქ.

¹⁸ სსკ-ის 129-ე მუხლი.

¹⁹ Markenis/Unberath/Johnston, მე-9 სქ.

²⁰ Wilmowsky, მე-13 სქ., 3, ციტირებულია: ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 39.

თუ არა დარღვევა არსებითი. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

არსებითია თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა გადაწყდეს. არსებითი იქნება ხელშეკრულების დარღვევა, თუკი ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია.²¹

როცა კრედიტორი ვალდებულების შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს უკავშირებს, რასაკვირველია, ვადის გადაცილება არსებითი დარღვევაა, რადგან მისთვის ვადის გადაცილების გამო შესრულებამ და, საერთოდ, ხელშეკრულებამ დაკარგა ინტერესი.

მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება არსებით დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ მაშინ, როცა მხარეებმა სპეციალურად მიუთითეს ვადაზე ხელშეკრულებაში, არამედ უნდა შეფასდეს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. ამასთან, მხოლოდ ძირითადი ვალდებულებების დარღვევა არ შეიძლება განვიხილოთ მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევად, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში არაძირითადი, ე.წ. დამხმარე ვალდებულებების როლი იმდენად დიდია, რომ მათ გარეშე შეუძლებელია ძირითადი ვალდებულების შესრულება.²²

არსებითი დარღვევა იქნება სახეზე, როდესაც არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, კერძოდ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების გამო, კრედიტორი მთლიანად ვალდებულების მიმართ დაკარგავს ინტერესს.²³ უმნიშვნელო დარღვევა, როცა ნივთის ნაკლის გამოსწორება შეიძლება გადადებისა და უმნიშვნელო ზომების მიღების შედეგად (მაგ.: მანქანის მიწოდების შემთხვევაში, რომელსაც აქვს დაზიანებული ფარები).²⁴ ასევე უმნიშვნელო ხარჯების განწესისა და ისეთი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც კრედიტორს არ აფიქრებინებს, რომ შესრულება მისთვის ინტერესმოკლებულია.²⁵

2.2.2 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, თუმცა შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. არაჯეროვანი შესრულება გულისხმობს შესრულების შინაარსის ან სახის განსხვავებას ისეთი შესრულებისაგან, როგორც კანონმა განსაზღვრა ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს.²⁶ ხელშეკრულების მიზანია მხარეთა ინტერესების უზრუნველყოფა, თუ ეს პირობა არ კმაყოფილდება და ვალდებულება სრულდება არასრულფასოვნად, ნაკლიანი შესრულება განიხილება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და ინვესტ მეთოდის მოთხოვნის უფლებების წარმოშობას. სსკ-ის 379-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოვალეს არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად შეცვალოს შესრულების საგანი.²⁷ მოვალის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული მოქმედების განხორციელება უნდა განვიხილოთ როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა.²⁸

²¹ ზოიძე, *ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 441.

²² ბილინიგი/ლუტრინგჰაუსი/შატბერაშვილი, მე-7 სქ., 183.

²³ *Marken/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 422.

²⁴ იქვე, 428.

²⁵ იქვე.

²⁶ *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 82.

²⁷ ზოიძე, 21-ე სქ., 323.

²⁸ იქვე, 324.

2.2.2.1 ნაკლიანი ნივთის მიწოდება

ა) ნივთობრივი ნაკლი

არაჯეროვანი შესრულების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება. გსკ-ის 434-ე I პარაგრაფი ემყარება ნაკლის სუბიექტურ ცნებას – ნივთობრივი ნაკლის არსებობის დასადგენად უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა ნივთს რისკის გასვლის მომენტისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული თვისება.²⁹

გსკ-ის 434-ე I პარაგრაფში ჩამოთვლილია შემთხვევები, თუ როდის არის ნივთი ნაკლის მქონე:

- როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის გამოუსადეგარია;
- ჩვეულებრივი სარგებლობისათვის გამოუსადეგარია და არა აქვს ისეთი თვისებრიობა, რაც დამახასიათებელია იმავე სახეობის ნივთისათვის და რასაც მყიდველი ნივთის სახეობიდან გამომდინარე ელის;
- შეთანხმებული მონტაჟი გამყიდველის ან იმ პირის მიერ, ვისაც იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, არასწორად განხორციელდა;
- ნივთის ინსტრუქცია, რომელიც საჭიროებს მონტაჟს, ნაკლის მქონეა;
- მიწოდებული ნივთის შემთხვევაში სახეზეა ალიუდი ან მცირე რაოდენობით მიწოდება. თუ ნივთის მონტაჟი სწორად ხორციელდება, მნიშვნელობა არა აქვს, ვის მიერ, ეს, ნაკლის მქონე ინსტრუქციის მიუხედავად, ჯეროვან შესრულებად განიხილება.³⁰

სსკ-ის 380-ე მუხლის შესაბამისად: „თუ ვალდებულების შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.“ მხარეები ზოგჯერ ითვალისწინებენ ხელშეკრულებაში ნივთის ხარისხს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისაგან განსხვავებული ხარისხი, თუნდაც ჩვეულებრივი სარგებლობისათვის გამოსადეგი იყოს, განიხილება ნაკლიან მიწოდებად.

სსკ-ის 490-ე I მუხლის მიხედვით, თუ სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს იგი, ან გვაროვნული ნივთის შემთხვევაში უნდა შეცვალოს სხვა ნივთით. თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, მყიდველი ამ შემთხვევაში ნაკლის გამოსწორებას ვერ მოითხოვს, რადგან ნივთი თავისთავად უნაკლოა, მაგრამ სულ სხვა ნივთია. თუ მყიდველს ფასის შემცირების ინტერესიც აღარ აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება რჩება.³¹

არაჯეროვან შესრულებად ითვლება ნაწილობრივი შესრულება, როცა ვალდებულების მხოლოდ ნაწილის შესრულება კრედიტორისათვის ინტერესს მოკლებულია.³² ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა დაუშვებელია – თუ ინტერესი აღარ რჩება, განხორციელდება გასვლის უფლება.

ბ) უფლებრივი ნაკლი

უფლებრივ ნაკლს აწესრიგებს გსკ-ის 435-ე პარაგრაფი. იმისათვის, რომ ნივთი ჩაითვალოს უფლებრივი ნაკლის არმქონედ, მესამე პირებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება და პრეტენზია

²⁹ ჩაჩავა, მე-20 სქ., 37.

³⁰ Palandt/Putzo, BGB, 2003, §434, Rn. 45 ff, m.w.N, ციტირებულია: მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 27.

³¹ მესხიშვილი, 30-ე სქ., 34.

³² Markenis/Unberath/Johnston, მე-9 სქ.

ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირის უფლებები იყოს ნამდვილი და რეალური.³³ სსკ-ის ანალოგიურად გსკ-ის მიხედვითაც, თუ უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, თუნდაც არარსებული იყოს, უთანაბრდება უფლებრივ ნაკლს.³⁴

2.2.2.2 მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება

ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევა, როცა ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, მაგრამ სრულდება მოგვიანებით. ამ შემთხვევაში პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი: რა გარემოებებში შეუძლია კრედიტორს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი თქვას მოგვიანებით შესრულებული ვალდებულების მიღებაზე.

ზოგიერთ შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებით დადგენილია შესრულების ვადა და თუ მოვალე ამ ვადაში არ ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს უფლება აქვს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრედიტორმა ვალდებულების შესრულება დაუკავშირა ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ ვადას და ამ ვადის გადაცილების გამო შესაძლოა, შესრულებამ შემდგომში დაკარგოს ინტერესი (მაგალითად, თუ შეკვეთილია ტორტი დაბადების დღისათვის). შესრულების ვადა შეიძლება იყოს ხელშეკრულებაში მითითებული კალენდარული ვადა, ან ფაქტი, რომელსაც კრედიტორი უკავშირებს შესრულებას, ამიტომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა გაფრთხილების გარეშე ხდება.³⁵ ხელშეკრულებიდან გასვლა წინასწარი გაფრთხილების გარეშე მაშინ დგება, როდესაც ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად არის განსაზღვრული მისი შესრულების ვადები.³⁶ კრედიტორის მიერ გაფრთხილების ვალდებულებას ასეთ შემთხვევებში ასრულებს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული კალენდარული ვადა, მაგალითად: „არა უგვიანეს 1 აპრილისა“, „2008 წლის ბოლომდე“.³⁷

გსკ-ის 286-ე პარაგრაფი გაცილებით კონკრეტიზებულია სსკ-ის მე-400 მუხლთან შედარებით, რადგან, გარდა იმისა, რომ მკაფიოდ განსაზღვრავს ვადის გადაცილების პირობებს, მაგალითად გსკ-ის 286-ე II პარაგრაფი ადგენს, რომ ვადის გადაცილებისათვის გაფრთხილება არაა საჭირო, თუ შესრულების ვადა კალენდარულად არის განსაზღვრული. მაშინ, როცა სსკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს კალენდარულ ვადას და მხოლოდ განმარტების შედეგად არის შესაძლებელი დავასკვნათ, რომ: „ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში“ იგულისხმება კალენდარული ვადა. გარდა იმისა, გსკ-ის მიხედვით გაფრთხილება არაა საჭირო, თუ შესრულება უკავშირდება გარკვეული მოვლენის დადგომას.³⁸ „ეს ის შემთხვევაა, როცა შესრულების ვადა იწყება გარკვეული მოვლენის შემდეგ და იგი ისეა დადგენილი, რომ მისი გამოანგარიშება ამ მოვლენის შემდეგ კალენდრის მიხედვით არის შესაძლებელი.“³⁹ გსკ გაფრთხილების საჭიროებას გამორიცხავს, „თუ განსაკუთრებული

³³ ჩაჩავა, მე-20 სქ., 39.

³⁴ Lowisch, მე-16 სქ.

³⁵ სსკ-ის მე-400 I (ა) მუხლი.

³⁶ ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, 2001, 182.

³⁷ Palandt Kommentar, 348, Jauerling Kommentar, 368; MunchKomm-Thode, §284, Rn.38. ციტირებულია: ზოიძე, 21-ე სქ., 418.

³⁸ გსკ-ის 286 II (2) პარაგრაფი.

³⁹ მანალაძე, მე-4 სქ., 79.

გარემოებებიდან გამომდინარე და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამართლებულია ვადის გადაცილების მომენტის დაუყოვნებლივ დადგომა.“ (მაგ.: გაფრთხილების დაბრკოლება – მოვალე თავისი ქმედებით აბრკოლებს გაფრთხილების მასთან მისვლას, ან კიდევ ე.წ. თვითგაფრთხილება – მოვალე ვადის ხელშეკრულებიდან მანამ, სანამ მიიღებს კრედიტორის გაფრთხილებას).⁴⁰

თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების კალენდარული ვადა, კრედიტორი ვალდებულია, გააფრთხილოს მოვალე და მხოლოდ გაფრთხილების შემდეგ არის უფლებამოსილი, გაეიდეს ხელშეკრულებიდან, თუ მოვალე კრედიტორის მიერ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ გაფრთხილების შემთხვევაშიც არ ასრულებს ვალდებულებას.⁴¹

გაფრთხილება ამ შემთხვევაში ასრულებს შეხსენების ფუნქციას, ამით კრედიტორი აფრთხილებს მოვალეს, რომ დაუყოვნებლივ შეასრულოს, მის გარეშე მოვალე ვადის გადამცილებლად არ ჩაითვლება.⁴²

2.2.3 შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ხშირად შესრულების შეუძლებლობით არის განპირობებული. შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება (გსკ-ის 275-ე | პარაგრაფი)⁴³. *Impossibilium nulla est obligatio* – ცნობილი რომაული პრინციპია⁴⁴. კრედიტორი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას ავტომატურად თავისუფლდება თავისი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან და უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. შესრულების შეუძლებლობა არ არის სახეზე, თუ მოვალეს შეუძლია, შეასრულოს ვალდებულება გვაროვნული ნივთის მიწოდებით, რომელიც ფუნქციურად იდენტურია იმ ნივთისა, რომლის მიწოდებაც მოვალეს არ შეუძლია.⁴⁵ სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის სავალდებულო არ არის დამატებითი ვადის დაწესება, თუ აშკარაა, რომ არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ეს ჩანანერი ვრცელდება შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებზე. გსკ-ის 275-ე | პარაგრაფის შესაბამისად, შესრულების შეუძლებლობა მოიცავს შემდეგ ფორმებს: ა) ობიექტური შეუძლებლობა (შესრულება არავის შეუძლია); ბ) სუბიექტური შეუძლებლობა (შესრულება შეუძლებელია კონკრეტული მოვალის მიერ); გ) შესრულება შეუძლებელია დასაწყისშივე (ეს ის შემთხვევაა, როცა შესრულება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას); დ) მოგვიანებით გახდა შეუძლებელი (ხელშეკრულების დადების შემდეგ); ე) ნაწილობრივი ან სრული შეუძლებლობა.

სსკ-ის 407-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანი მოვალის ბრალით არ ყოფილა გამოწვეული.

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა „გამართლებულია“ (კრედიტორი ვერ მოითხოვს შესრულებას), თუ მოვალისათვის წინასწარ არ იყო გასათვალისწინებელი ის დამაბრკოლებელი გარემოებები, ან ვერ აიცლებდა თავიდან იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა შესრულების შეუძლებლობა.

⁴⁰ *Mattheus*, Schuldrechtsmodernisierung 2001/2002, Die Neuordnung des allgemeinen Leistungsstörungenrechts, JuS, 2002, 215, ციტირებულია: *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 79.

⁴¹ სსკ-ის მე-400 I (ბ) მუხლი.

⁴² *ზოიძე*, 21-ე სქ., 420.

⁴³ გსკ-ის 275-ე | პარაგრაფი.

⁴⁴ *Zimmermann*, მე-12 სქ., 10.

⁴⁵ *Rivkin*, *Lex Mercatoria and Focre Majeure*, http://tldb.uni-koeln.de/php/pub_show_document.php?pubdocid=116100 (10.12.07).

2.2.3.1 შესრულების ობიექტური შეუძლებლობა

შესრულების ობიექტური შეუძლებლობა მაშინაა, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო კონკრეტული მოვალისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი პირისათვისაც.⁴⁶ ობიექტური შეუძლებლობა შეიძლება იყოს იურიდიული და ბუნებრივი. იურიდიული შეუძლებლობის მაგალითია სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის აკრძალვა, რაც შეუძლებელს გახდის შესრულებას, ხოლო ბუნებრივი შეუძლებლობის მაგალითია შესრულების საგნის განადგურება.⁴⁷

2.2.3.2 სუბიექტური შეუძლებლობა

შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა მაშინაა, როცა იგი დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან, მის ფიზიკურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ, ემოციურ თუ სხვა უუნარობასთან. მაგ., მომღერალი, რომელსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რამდენიმე კონცერტის გამართვის თაობაზე, მოულოდნელად შეიტყობს, რომ შვილს აღმოაჩნდა სერიოზული დაავადება და უარს აცხადებს შესრულებაზე თავისი ემოციური მდგომარეობის გამო. ამ შემთხვევაში სახეზეა მორალური შეუძლებლობა.⁴⁸

სუბიექტური შეუძლებლობისას ორი მომენტი შეიძლება გამოიყოს: შესრულების ფაქტობრივი და პრაქტიკული შეუძლებლობა. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ყოველთვის არ გულისხმობს, რომ შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივად.⁴⁹ მაგ.: თუ გამყიდველმა A სურათი მიჰყიდა B-ს, მაგრამ ხელმოწერა გაყიდა და მიაწოდა მეორე მყიდველ C-ს. ამ შემთხვევაში შესრულება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ A ნივთს დაიბრუნებს C-სგან, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ნივთის სანაცვლოდ გაცილებით დიდ თანხას მოსთხოვს, A უფლებამოსილია, განაცხადოს, რომ შესრულება შეუძლებელია. მოვალე არჩევანის წინაშე დგება – შეასრულოს თუ არ შეასრულოს ვალდებულება, რაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს კრედიტორს.⁵⁰ აქაც, გასვლის თვალსაზრისით, იგივე მოთხოვნის უფლებები აქვს კრედიტორს, თუმცა ამ შემთხვევაში, ვინაიდან შესრულება ფაქტობრივად შესაძლებელია, დამატებითი ვადის დაწესება მიზანშეწონილია.

2.2.3.3 საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა

გსკ-ის 275-ე I პარაგრაფი ათანაბრებს დასაწყისშივე და მოგვიანებით შეუძლებლობის შემთხვევებს ბრალეულობის თვალსაზრისით და ორივე შემთხვევაში გამორიცხავს მოვალის მხრიდან ბრალეულობის მომენტს.

2.2.3.4 შესრულების პრაქტიკული შეუძლებლობა

შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორი განსხვავებულ ვითარებაშია, მაშინ, როცა შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია და იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორის მიერ მოვალისაგან შესრულების მოლოდინი არაგონივრულია საქმის გარემოებების გათვალისწინებით. გსკ-ის 275-ე II პარაგრაფის მიხედვით, მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას

⁴⁶ ზოიძე, 21-ე სქ., 378.

⁴⁷ იქვე, 378.

⁴⁸ Zimmermann, მე-12 სქ., 16.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე, 15.

სამაგისტრო ნაშრომები

შესრულებაზე, თუ ეს შესრულება მოითხოვს კრედიტორის ინტერესებისათვის აშკარად შეუსაბამო ზომების მიღებას, ვალდებულების შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით.⁵¹ როცა ლაპარაკია ვალდებულების პრაქტიკული ან ეკონომიკური თვალსაზრისით შესრულების შეუძლებლობაზე, მხედველობაში მიიღება, თუ რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს კრედიტორის ინტერესს ის ღონისძიება, რაც გაკეთდა შესრულებისათვის.⁵² მაგალითად: ბეჭედი გაიყიდა, მაგრამ მყიდველისათვის გადაცემამდე ჩავარდა ზღვაში. ზღვიდან ამოღების ხარჯები ბეჭდის ფასთან შეუსაბამოდ მაღალია, ამიტომ არაგონივრულია მოვალისაგან ასეთი შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების განევის მოთხოვნა, რადგან მოვალის ინტერესია 100 ევრო – ბეჭდის ღირებულება, ხოლო ზღვიდან ბეჭდის ამოღების ხარჯები გაცილებით მეტია ბეჭდის ფასზე, ამიტომ კრედიტორი მოვალეს ვერ მოსთხოვს შესრულებას.

2.2.3.5 შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა

განსხვავებული ვითარებაა შესრულების ეკონომიკურ შეუძლებლობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გამოიყენება გსკ-ის 313-ე პარაგრაფი. მაგალითად: თუ 1000 ბარელი ნავთობის ფასი, რომელზეც დაიდო ხელშეკრულება, მიწოდებამდე აშკარად გაიზარდა, მოვალეს არ მოეთხოვება შესრულება, რადგან პირობები არსებითად შეიცვალა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. თუ გამყიდველი მაინც მიანოდებს, გამოდის, რომ მან ძალიან დაბალ ფასში გაყიდა ნავთობი, რომელიც ბაზარზე გაცილებით ძვირია და ამით კრედიტორი მიიღებს დიდ სარგებელს. გამოსავალი ამ დროს ხელშეკრულებიდან გასვლა არაა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გამყიდველმა მოითხოვოს გასვლა, მაგრამ, ძირითადად, გამოიყენება შეცვლილ პირობებთან მისადაგების შესახებ ნორმები.⁵³ შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება იქ, სადაც შესრულებამ მოვალისათვის არაგონივრული ზომების ან ხარჯების განევა შეიძლება გამოიწვიოს.⁵⁴

2.3 დამატებითი ვადა და გაფრთხილება – მეორე შესაძლებლობა შესრულებისათვის

2.3.1 დამატებითი ვადა

2.3.1.1 დამატებითი ვადის გამოყენების წინაპირობები

როგორც გსკ-ის 323-ე პარაგრაფი, ისე სსკ-ის 405-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობად დამატებითი ვადის (*Nachfrist*) დაწესებას განიხილავს. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ანუღირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანუღირება.⁵⁵ დამატებითი ვადის დაწესება გერმანული სამართლის მიერ ვალდებულების ნატურით შესრულებისა და ხელშეკრულების შენარჩუნების უპირატესობის

⁵¹ იქვე, 12.

⁵² *Canaris*, 2001, *Juristenzeitung* 501f. – ციტირებულია: *Zimmermann*-ის ნაშრომის მიხედვით, მე-12 სქ., 10.

⁵³ *Zimmermann*, მე-12 სქ., 12.

⁵⁴ იქვე, 13.

⁵⁵ *Schlechtriem*, *The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe* <http://oucl.iuscomp.org/articles/schlechtriem2.shtml> (23.01.2008).

აღიარების მიზანს ემსახურება.⁵⁶ დამატებით ვადას მოვალის ინტერესების დაცვის ფუნქცია აქვს.⁵⁷ მხოლოდ დაწესებული დამატებითი ვადის უშუალოდ ამონაწერს აძლევს კრედიტორს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აქედან გამომდინარე, დამატებითი ვადა არის ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წინაპირობა, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება ყოველთვის, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც დასაშვებია ხელშეკრულებიდან გასვლა დაუყოვნებლივ, დამატებითი ვადის დაწესების გარეშე.

2.3.1.2 დამატებითი ვადის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევები

დამატებითი ვადა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მის გამოყენებას აზრი აქვს და, სავარაუდოდ, კრედიტორისათვის შედეგის მომტანი ვერ იქნება. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, როდესაც დამატებითი ვადის დაწესება აზრს კარგავს, არის შესრულების შეუძლებლობა.⁵⁸ სსკ გსკ-ისაგან განსხვავებით, ვადის დაწესების გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევების შედარებით მოკლე ნუსხას ადგენს, მაგალითად, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შეიცავს ზოგად ჩანაწერს; „ვადის დაწესება არაა აუცილებელი, როდესაც აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება.“ აქედან გამომდინარე, შესრულების შეუძლებლობისას აშკარაა, ვადის დაწესებას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ასეთი საფუძველი შეიძლება გახდეს მოვალის ვალაუვალობა, ასევე პირად თვისებებთან დაკავშირებული გარემოებანი, მაგალითად: პიანისტი, რომელმაც თითები დაკარგა ტრავმის შედეგად, ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და ამიტომ ვადის დაწესება აზრს კარგავს.⁵⁹

გსკ ცალკე გამოყოფს ისეთ შემთხვევას, როცა მოვალე აშკარად და საბოლოოდ ამბობს უარს შესრულებაზე.⁶⁰

ვადის დაწესება არაა აუცილებელი, როდესაც მოვალემ შესრულება არ განახორციელა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორს სწორედ დროული შესრულების მიმართ ჰქონდა ინტერესი.⁶¹

2.3.1.3 დამატებითი ვადის ხანგრძლივობა

დამატებითი ვადა მოვალეს აძლევს კიდევ ერთ შესაძლებლობას, შეასრულოს ხელშეკრულება, ან გამოასწოროს ნაკლის მქონე შესრულება. აქედან გამომდინარე, ამ შესაძლებლობის პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დამატებითი ვადის ხანგრძლივობა. დამატებითი ვადა უნდა იყოს გონივრული, რათა მოვალეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, შეასრულოს ვალდებულება.⁶² ვადის გონივრულობის მოთხოვნა უნდა ემსახურებოდეს ასევე კრედიტორის ინტერესებს, მით უმეტეს, როცა შესრულებისას ვადის დაცვას კრედიტორისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

„გონივრული ვადა“ შეფასებითი კატეგორიაა. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებით.⁶³ აქედან გამომდინარე, გონივრული ვადის

⁵⁶ არკენის/ნბერატჰ/ჟოჰნსტონ, მე-9 სქ., 388.

⁵⁷ იქვე, 401.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ ზოიძე, 21-ე სქ., 439.

⁶⁰ გსკ-ის 323-ე (2) პარაგრაფი.

⁶¹ ჩაჩავა, მე-20 სქ., 43.

⁶² Marken/Unberath/Johnston, მე-9 სქ., 400.

⁶³ ზოიძე, 21-ე სქ., 290.

სამაგისტრო ნაშრომები

ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. „კრედიტორი შებოჭილია დამატებითი ვადის გამოყენების ვალდებულებით. მისი თავისუფლება მხოლოდ ამ ვადის სიდიდის განსაზღვრაში შეიძლება მდგომარეობდეს, თუკი კანონით არაა განსაზღვრული.“⁶⁴

2.3.2 გაფრთხილება

2.3.2.1 გაფრთხილების ფუნქცია

როგორც სსკ-ის 405-ე I მუხლი, ისე გსკ-ის 323-ე III პარაგრაფი დამატებით ვადას უთანაბრებს გაფრთხილებას იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა.⁶⁵ გაფრთხილება არის მოთხოვნა, რის საფუძველზეც კრედიტორი ავალდებულებს მოვალეს, შეასრულოს ვალდებულება. გაფრთხილების ფუნქცია, პირველ რიგში, არის შეხსენება მოვალისათვის, რომ კრედიტორი ითხოვს ვადამოსული ვალდებულების შესრულებას.⁶⁶ გაფრთხილება უნდა იყოს გასაგები და ერთმნიშვნელოვანი, ასევე განსაზღვრული.⁶⁷

2.3.2.2 გაფრთხილების გამოყენების წინაპირობები

გაფრთხილებას, დამატებითი ვადის მსგავსად, ცალმხრივი ხასიათი აქვს, მთავარია, აუცილებლად მიუვიდეს მოვალეს.⁶⁸ კრედიტორს შეუძლია, მოვალე გააფრთხილოს შესრულების ვადის დადგომისას. ვადის დადგომამდე განხორციელებული გაფრთხილება ბათილია და არც ვადის დადგომის შემდეგ იძენს იურიდიულ ძალას.⁶⁹ თუ მოვალე ვალდებულია, ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, რამდენიმე ვალდებულება შეასრულოს, ასეთ დროს კრედიტორი ვალდებულია განსაზღვროს, რომელ შესრულებას უკავშირდება გაფრთხილება.⁷⁰

2.3.2.3 გაფრთხილების განსხვავება დამატებითი ვადისაგან

გაფრთხილების თავისებურება ისაა, რომ კრედიტორი კი არ განუსაზღვრავს მოვალეს დარღვევის გამოსწორების ვადას, არამედ კონკრეტული ურთიერთობიდან ამოიცინობა, რა ხანგრძლივობის ვადაა საჭირო საამისოდ.⁷¹ თუ დამატებითი ვადის დაწესებისას კრედიტორი მოვალეს განუსაზღვრავს კონკრეტულ ვადას ვალდებულების შესასრულებლად (მაგალითად, ვალდებულება უნდა შესრულდეს 1-ლ აპრილამდე) და ხელშეკრულებიდან გასვლას ვერ განახორციელებს დამატებითი ვადის უშედეგოდ ამონურვამდე, გაფრთხილების შემთხვევაში არ არის აუცილებელი, კრედიტორმა მოვალეს დაუნესოს ვადა ვალდებულების შესრულებისათვის (მაგ.: გაფრთხილება – არ დააზიანოს ხელშეკრულების საგანი). თუმცა არსებობს იმგვარი გაფრთხილებაც, რომელიც შესრულებისათვის ვადებს აწესებს. ასეთ შემთხვევაში საექსპოზისას მოცემული ვადა იწყება გაფრთხილების თარიღით და არა მაშინ, როცა

⁶⁴ იქვე, 434.

⁶⁵ Zimmermann, მე-12 სქ., 38.

⁶⁶ მაჩალაძე, მე-4 სქ., 78.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ Palandt/Heinrichs, 2003, BGB §286, Rn.19, ციტირებულია: მაჩალაძე, მე-4 სქ., 78.

⁷¹ ზოიძე, 21-ე სქ., 436.

მოვალეს გაფრთხილება მიუვა.⁷² გაფრთხილება შეიძლება მოხდეს კონკლუდენტურად, მოვალისათვის ანგარიშის გადაგზავნით, რაც თავისთავად იწვევს ვადის გადაცილების მომენტის დადგომას.⁷³

3. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება

ა) დამატებითი ვადის უშედეგოდ ამოწურვა

როდესაც სახეზეა ვალდებულების დარღვევა, რომელიც არ არის გამონკვეთი შესრულების შეუძლებლობით, კრედიტორის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისას საჭიროა გსკ-ის 323-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა. გსკ განასხვავებს შემთხვევებს, როცა მოვალე საერთოდ არ ასრულებს ვალდებულებას, ან ასრულებს არაჯეროვნად, ვადის გადაცილებით, როცა არღვევს დამხმარე ვალდებულებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან, როცა არღვევს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც არაპირდაპირ კავშირშია შესრულებასთან, მაგრამ გასათვალისწინებელია კრედიტორის ინტერესები.⁷⁴ ამ შემთხვევებში გასვლის უფლება კრედიტორს წარმოეშობა, თუ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მას შეუძლია, გონივრულად ივარაუდოს, რომ შესრულება მოსალოდნელი აღარ არის. სხვა დანარჩენ შემთხვევაში აუცილებელია დამატებითი ვადის დაწესება შესრულების ან არაჯეროვნად შესრულებულის გამოსწორებისათვის და გასვლა ხორციელდება მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გსკ, 323-ე პარაგრაფი). იგივე მოთხოვნებია დაწესებული სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით. თუმცა არის შემთხვევები, როცა, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, დამატებითი ვადის დაწესება აზრს მოკლებულია. ასეთ დროს გაფრთხილება იკავებს დამატებითი ვადის ადგილს. კრედიტორი ვერ მოითხოვს გასვლას, თუ ის იყო პასუხისმგებელი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევაზე, ან დარღვევა გამონკვეთი კრედიტორის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობით.

ბ. ცალმხრივი ნების გამოვლენა

ხელშეკრულებიდან გასვლა კრედიტორის უფლება, ცალმხრივი აქტია – შეცვალოს ხელშეკრულების შინაარსი.⁷⁵ ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია, როდესაც დარღვევა არის მნიშვნელოვანი. პრობლემურია, როგორ უნდა განისაზღვროს დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათი. გერმანული მოდელი, ვენის კონვენციის მსგავსად, სხვა სამართლებრივი სისტემებისაგან განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლისათვის არ ადგენს სასამართლო პროცედურების საჭიროებას, მაშინ როდესაც ფრანგულ სამართალში დარღვევის სერიოზულობის განსაზღვრა და მის შესაბამისად გასვლის უფლების მინიჭება კრედიტორისათვის სასამართლოს მსჯელობის საგანია და თუ სასამართლო გადაწყვეტილებით კრედიტორის სასარგებლოდ დადგინდება ის წინაპირობები, რომელთა არსებობისას დასაშვებია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება, კრედიტორი მოითხოვს გასვლას.⁷⁶ დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათის დადგენის უფლება აქვს სასამართლოს. ვენის კონვენციის მიხედვით, ამოსავალი დებულებაა ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც გასვლის უფლების აუცილებელი წინაპირობაა. მხოლოდ გარკვეული კატეგორიის

⁷² *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 78.

⁷³ იქვე.

⁷⁴ *Zimmermann*, მე-12 სქ., 38.

⁷⁵ *Marken/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 420.

⁷⁶ *Schlechtriem*, 55-ე სქ.

სამაგისტრო ნაშრომები

საქმეებზე, როცა ვადის დაწესებას შეიძლება აზრი ჰქონდეს, გასვლის ნაცვლად წესდება დამატებითი ვადა.⁷⁷ თუ ვადა უშედეგოდ ამოიწურა, ეს იწვევს არსებით დარღვევას; მეორე მოდელი (გერმანული) ეფუძნება ზოგად პრინციპს: კრედიტორი თავდაპირველად უწესებს მოვალეს დამატებით ვადას, რომ კიდევ ერთხელ მისცეს შანსი.⁷⁸ თუმცა დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არაა და კრედიტორი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან, როცა დარღვევა აშკარად მნიშვნელოვანია და აზრი არა აქვს ვადის დაწესებას, ან გამოსწორებას არ ექვემდებარება იმის გამო, რომ კრედიტორმა შესრულება დაუკავშირა ხელშეკრულებით მკაცრად განსაზღვრულ ვადას, ან მიზანშეწონილია დაუყოვნებლივ გასვლა მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. გსკ-ის 323-ე II პარაგრაფი, სსკ-ის 405-ე II მუხლი.⁷⁹ ასევე, გსკ-ის 326-ე V პარაგრაფის მიხედვით, როცა სახეზეა შესრულების შეუძლებლობა, გამართლებულია დაუყოვნებლივ გასვლა. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება განიხილება როგორც თვითდახმარება.

4. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა

ა. უმნიშვნელო დარღვევა

სსკ-ის 405-ე III (ა) მუხლი, გსკ-ის 323-ე V პარაგრაფის მსგავსად, კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არ ანიჭებს უმნიშვნელო დარღვევის მიზეზით.

უმნიშვნელო დარღვევა, როცა ნივთის ნაკლის გამოსწორება შეიძლება გადადებისა და უმნიშვნელო ზომების მიღების შედეგად (მაგალითად, მანქანის მიწოდების შემთხვევაში, რომელსაც დაზიანებული აქვს ფარები),⁸⁰ ასევე უმნიშვნელო ხარჯების განევისა და ისეთი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც კრედიტორს არ აფიქრებინებს, რომ შესრულება მისთვის ინტერესმოკლებულია.⁸¹

ბ) 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა

სსკ-ის 316-ე მუხლით დადგენილი მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. დაცვის ვალდებულებები მიზნად ისახავს, დაიცვას ხელშეკრულების მხარის უფლებები, სამართლებრივი სიკეთე და ინტერესები. დაცვის ვალდებულებები დაცულია ნამდვილი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად.⁸² თუმცა სსკ-ის 316-ე მუხლში არაფერია ნათქვამი კრედიტორის ინტერესების დაცვაზე, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ვალდებულებები აუცილებლად მოიცავს ამ უკანასკნელსაც.⁸³

გ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი

ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ კრედიტორის მოთხოვნას უპირისპირდება მოვალის შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარუდგინა ან დაუყოვნებლივ წარუდგენს

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ გსკ-ის 323-ე (2) პარაგრაფი.

⁸⁰ *ზოიდე*, 21-ე სქ., 428.

⁸¹ იქვე, 428.

⁸² *Mattheus, Schuldrechtsmodernisierung 2001/2002, Die Neuordnung des allgemeinen Leistungsstörungsrechts*, JuS, 2002, ციტირებულია: *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 93.

⁸³ *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 93.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (მაგ.: შესაგებელი ხანდაზმულობაზე ან ვალის გაქვითვაზე).

„ვინაიდან შესაგებელი დამოუკიდებელ პრეტენზიას წარმოადგენს და გასარკვევია მისი საფუძვლიანობა, ასეთ ვითარებაში, სანამ კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობა არ გაირკვევა, დაუშვებელია ხელშეკრულებაზე უარი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შესაგებელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას კი არ სპობს, არამედ აჩერებს“.⁸⁴

დ) კრედიტორი თვითონ არის პასუხისმგებელი შესრულებაზე

სსკ-ის 405-ე III მუხლის შესაბამისად, კრედიტორი ვერ მოითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას, თუ ვალდებულების დარღვევისათვის მთლიანად და თვითონ არის პასუხისმგებელი. (მაგ.: თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა განაპირობა კრედიტორის მხრიდან საპასუხო მოქმედების განუხორციელებლობამ. 369-ე მუხლი).

5. გამონაკლისი – ხელშეკრულებიდან გასვლა შესრულების ვადის დადგომამდე

სსკ-ის 405-ე IV მუხლით კანონმდებელი უშვებს ზოგადი წესიდან გამონაკლისს, რითაც კრედიტორს შესაძლებლობა ეძლევა, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა შესრულების ვადის დადგომამდე. ამ შემთხვევაში სახეზე არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, რადგან ვალდებულება ჯერ ვადამოსული არაა, თუმცა არსებობს სერიოზული საფრთხე და უფრო მეტიც, აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები. მაგ.: თუ სტიქიური უბედურების შედეგად განადგურდა ხორბლის მოსავალი, აშკარაა, რომ მოვალე ვერ შეასრულებს ვალდებულებას, ან კიდევ მოვალის მიმართ გაიხსნა საგაკოტრებო წარმოება.⁸⁵

405-ე V მუხლის მიხედვით, მოვალეა უფლებამოსილი, კრედიტორს განუსაზღვროს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა. მაგ.: შეიძლება მოვალემ დათქვას, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი) მისი დადებიდან, ვთქვათ, 6 თვის განმავლობაში.⁸⁶

6. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

6.1 ნატურით დაბრუნება

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ორივე მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებისაგან და ეკისრებათ ორმხრივი რესტიტუცია: ვალდებული არიან, ერთმანეთს დაუბრუნონ უკვე განხორციელებული შესრულება.⁸⁷ ორივე მხარე ბრუნდება ხელშეკრულებამდე არსებულ რეჟიმში, ისე, თითქოს ხელშეკრულება არც კი ყოფილა. ხელშეკრულებიდან გასვლის მიზანია იმ *status quo*-ს აღდგენა, რომელიც ხელშეკრულების დადების გარეშე არსებობდა.⁸⁸ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ხორციელდება ორი გზით: ძირითადი პრინციპია ნატურით დაბრუნება (*Restitution in*

⁸⁴ ჩაჩავა, მე-20 სქ., 54.

⁸⁵ იქვე, 55.

⁸⁶ ზოიძე, 21-ე სქ., 446.

⁸⁷ Zimmermann, მე-12 სქ., 39.

⁸⁸ ზოიძე, 21-ე სქ., 231.

natura);⁸⁹ თუ ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, ხორციელდება ფულადი კომპენსაცია – დაბრუნებას ექვემდებარება შესრულების ეკვივალენტური ფულადი ანაზღაურება.⁹⁰ გერმანული სამართალი, განსხვავებით საერთო სამართლისაგან, რომელიც არ მოითხოვს, რესტიტუცია განხორციელდეს აუცილებლად ნატურით, უპირატესობას ანიჭებს ნატურით დაბრუნებას და უშვებს ამ წესიდან გამონაკლისს, როცა ნატურით დაბრუნება შეუძლებელია მიზეზთა მთელი რიგის გამო.⁹¹ როგორც წესი, ნატურით დაბრუნების ვალდებულება ყველაზე მეტად გავრცელებულია იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ნივთების გადაცემა შემძენზე. თუ ნასყიდობის საგანი უძრავი ნივთი, მაშინ გამყიდველისათვის ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს საჯარო რეესტრში სათანადო ჩანაწერის შესრულების გზით.⁹²

6.1.1 ფულადი ანაზღაურება ნატურით დაბრუნების ნაცვლად

ხელშეკრულებიდან გასვლისას არის შემთხვევები, როცა შესრულების შედეგად გადაცემული ნივთი ფიზიკურად აღარ არსებობს, ან გასხვისებული, ან უფლებრივად დატვირთულია. ამ შემთხვევაში ნატურით დაბრუნება არის შეუძლებელი და ჩანაცვლება ხდება ფულადი სახით. სსკ-ის 352-ე II მუხლი ადგენს იმ შემთხვევებს, როცა ნატურით დაბრუნების ნაცვლად გამოიყენება ფულადი ანაზღაურება, თუ, შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაბრუნება, მაგ.: მომსახურების სფეროში დადებული ხელშეკრულებების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნება ფიზიკურად შეუძლებელია⁹³; ან კიდევ ნივთი გასხვისდა, ან გადაკეთების შედეგად აღარ არსებობს. მაგ.: ბინის გასხვისების შემთხვევაში, თუ შემძენი კეთილსინდისიერია, ბინის დაბრუნების ვალდებულება აღარ წარმოიშობა და ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარე ვალდებულია, გადაიხადოს ბინის საფასური.⁹⁴ თუ ხელშეკრულების საგანი გადაეცა მხარეს და მან იპოთეკით დატვირთა, ასეთ შემთხვევაში ნივთი ითვლება უფლებრივი ნაკლის მქონედ და რადგან არ არსებობს თავდაპირველი სახით, ანაზღაურება მოხდება ფულადი ფორმით.

6.1.2 ფულადი ანაზღაურებისაგან გათავისუფლება

ხელშეკრულებიდან გასვლისას ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ზოგჯერ არ წარმოიშობა. სსკ-ის 352-ე IV მუხლი გამოყოფს რამდენიმე შემთხვევას:

თუ საგნის ნაკლი, რაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა, მაგ.: თუ პურის გამოცხობისას გამოვლინდა, რომ ფქვილი უხარისხო იყო, ფქვილის მიმწოდებელს შეუძლია, მოითხოვოს დარჩენილი ფქვილი, თუმცა უკვე გამოყენებული ნაწილის ნაცვლად ვერ მოითხოვს ფულად ანაზღაურებას, რადგან ნაკლი გამოვლინდა საგნის გადამუშავების პროცესში, რაც საფუძველად დაედო ხელშეკრულებაზე უარის თქმას.⁹⁵

საინტერესოა ფულადი ანაზღაურებისაგან გათავისუფლების ის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების საგანი გადაცემულია უფლებამოსილი პირისათვის (იგულისხმება ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირი), რომელიც უფრთხილდება და ეპყრობა

⁸⁹ Zervogianni, Remedies For Damage To Property: Money Damages Or Restitution In Natura? <http://www.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=1085&context=gwp> (24.01.2008).

⁹⁰ Zimmermann, მე-12 სქ., 40.

⁹¹ Marken/Unberath/Johnston, მე-9 სქ., 389.

⁹² ზოიძე, 21-ე სქ., 243.

⁹³ იქვე, 244.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე, 249.

ისეთივე გულისხმიერებით, როგორც საკუთარ ნივთს (*diligentia quam in suis*), თუმცა, მისი ბრალის მიუხედავად, ნივთი ნადგურდება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს არ ეკისრება ფულადი ანაზღაურების მოვალეობა განადგურებული ნივთის დაბრუნების ნაცვლად.⁹⁶ გამოდის, რომ ნივთის გადაცემის მიუხედავად, თუმცა ნივთი მყიდველის გავლენის სფეროშია, მაინც გამყიდველზე რჩება მისი შემთხვევითი დალუპვის ან განადგურების რისკი.⁹⁷ ფულად ანაზღაურებას ვერ მოითხოვს კრედიტორი, როცა ნივთის დაზიანება ან განადგურება მისი ბრალით არის გამოწვეული. ამ შემთხვევის მაგალითია მიწოდებული უნაკლო ნივთის არასწორად დამონტაჟება კრედიტორის ბრალით.⁹⁸

6.1.3 სარგებელი და აუცილებელი დანახარჯები

მხარეებმა შეიძლება ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შესრულება გამოიყენონ შემოსავლის მიღების მიზნით. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეები ერთმანეთს უბრუნებენ არა მარტო შესრულებას, არამედ იმ სარგებელს, რაც მიიღეს ხელშეკრულებიდან გასვლამდე. მაგ.: მყიდველმა ავტომანქანა გამოიყენა ტაქსად და მიიღო სარგებელი, ხოლო გამყიდველის შემთხვევაში ადვილი წარმოსადგენია, რომ თანხის ინვესტირება განახორციელოს და მიიღოს სარგებელი.⁹⁹ სარგებელი მოიცავს მიღებულ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი და სარგებელი, როგორც წესი, არ ანაზღაურდება, თუმცა ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სსკ-ის 353-ე I მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ სარგებლის მიუღებლობა გამოწვეულია საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მოვალეს სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, მოვალე ვალდებულია, კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი.

სარგებელთან ერთად კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს აუცილებელი დანახარჯები. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოვალე უკან აბრუნებს მიღებულ საგანს ან დაბრუნების ნაცვლად ხდება ფულადი ანაზღაურება, ან დაუშვებელია ფულადი ანაზღაურება 352-ე IV მუხლის მიხედვით, სარგებლის მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს აუცილებელი დანახარჯები. ეს ის ხარჯებია, რაც მან გასწია მიღებული საგნის შესანახად ან მისი ნორმალური ექსპლუატაციისათვის.¹⁰⁰ ეს ხარჯები წარმოშობილი უნდა იყოს ხელშეკრულებიდან გასვლამდე.

6.1.4 რესტიტუციის მიმართება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დგება რესტიტუციის საკითხი, რომელიც სახეზეა უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაშიც, რადგან უსაფუძვლო გამდიდრების დროსაც მხარეებმა უნდა დააბრუნონ ყველაფერი, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლისას მოქმედებს სპეციალური წესები და უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები არ გამოიყენება.¹⁰¹ შედეგების მსგავსების მიუხედავად ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავებები მნიშვნელოვანია.

⁹⁶ *Marken/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 389.

⁹⁷ *Zimmermann*, მე-12 სქ., 40.

⁹⁸ *ჩაჩავა*, მე-20 სქ., 38.

⁹⁹ *Zimmermann*, Position Paper On Unwinding of Failed Contracts, <http://www.unidroit.org/english/publications/proceedings/2007/study/50/s-50-100-e.pdf> (20.01.2008).

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ *Schlechtriem*, 56-ე სქ., *Marken/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 420.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი – ხელშეკრულება ძალაში რჩება. ხდება მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ტრანსფორმირება და მის ადგილს იკავებს უკუშესრულების ვალდებულებითი ურთიერთობა.¹⁰² ხელშეკრულებიდან გასვლა არ იწვევს პირვანდელი ხელშეკრულების ბათილობას. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას განაპირობებს ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა.

გარდა ამისა, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მოვალეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურებაც (სსკ-ის 407-ე მუხლი) რაც, როგორც წესი, უსაფუძვლო გამდიდრებისას არ ხდება.

სასამართლო პრაქტიკაში ამ ორი ინსტიტუტის მსგავსება ზოგჯერ განაპირობებს ცნებების აღრევას და დავის მოსაწესრიგებლად ორივე მათგანის ნორმების გამოყენებას. ასე მაგალითად, საქმეზე – №ას-222-521-04 – საკასაციო ინსტანციამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები:

შპს „კავუნიტექსსა“ და თ. მუხურაძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კომპანია ამ უკანასკნელს მშენებარე სახლში საკუთრებაში გადასცემდა ოთხოთახიან ბინას 2001 წლამდე, სანაცვლოდ ეს უკანასკნელი ჩააბარებდა კომპანიას თავის ოთახნახევრიან ბინას, რითაც მას გადახდილად ჩაეთვლებოდა ასაშენებელი ბინის ღირებულება. მან კომპანიის მითითებით თავის ბინაზე საკუთრების უფლება გადასცა ვინმე მ. ჯავახიშვილს, რომლის მეუღლემ სამშენებლო მასალები მიანოდა „კავუნიტექსს“ და სწორედ ამ მასალის სანაცვლოდ გადაეცა მას მუხურაძის ბინა.

კომპანიამ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო მუხურაძისათვის ბინის აშენება. მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მუხურაძეს კომპანია გადასცემდა ხუთოთახიან ბინას 2001 წლის ბოლომდე. არც ეს შეთანხმება შესრულდა. მუხურაძემ სარჩელით უარი თქვა „კავუნიტექსთან“ და ჯავახიშვილთან დადებულ ხელშეკრულებებზე და მოითხოვა თავისი ბინის დაბრუნება.

კომპანია დაეთანხმა ხელშეკრულებიდან გასვლაზე მოსარჩელეს, ხოლო ჯავახიშვილმა სარჩელი არ ცნო. მან მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობდა მისი მოშლის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნია სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 352-ე და 405-ე მუხლების პირველი ნაწილები.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის მოსაზრებები. საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყვეტილია, რადგან მყიდველი ღირებულებას არ იხდის, ხოლო გამყიდველი სსკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს გადაცემული ნივთის დაბრუნებას. მითითებული ნორმით ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად უნდა მოჰყვეს ქონების ნატურით დაბრუნება (რესტიტუცია).“ ამ საკითხს მთლიანად არეგულირებს სსკ-ის 352-ე-360-ე მუხლები.

მიუხედავად ამისა, საკასაციო ინსტანცია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებსაც იშველიებს და აგრძელებს:

„სსკ-ის 976-ე I მუხლის მიხედვით მიმღებს – ვითომკრედიტორს, კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ეკისრება – დააბრუნოს ის, რაც

¹⁰² *Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, 3 Aufl., 1987*, ციტირებულია: *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი/შატბერაშვილი*, მე-7 სქ., 249.

უსაფუძვლოდ მიიღო... ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებისა, მოთხოვნის საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სსკ-ის 989-ე მუხლიც, რადგან ვითომკრედიტორისათვის ან მისი მითითებით სხვისთვის რაიმეს გადაცემისას კანონი ითვალისწინებს გადაცემულის უკან დაბრუნებას.¹⁰³

6.2 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია

6.2.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები გასვლისას

ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეებს უბრუნდებათ შესრულება და მიღებული სარგებელი, ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ გამოორიციხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ წესს ადგენს როგორც გსკ-ის 325-ე პარაგრაფი, ისე სსკ-ის 352-ე V მუხლი. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია სავსებით შესაძლებელია.¹⁰⁴ ზიანის ანაზღაურების მიზანი ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებიდან გამომდინარე მოსალოდნელი სარგებლის ანაზღაურებაა,¹⁰⁵ რაც ნიშნავს, რომ დაზარალებულ მხარეს ისეთ ფინანსურ მდგომარეობას უქმნის, როგორც ის იქნებოდა, ხელშეკრულება ყველა პირობის დაცვით რომ შესრულებულიყო. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია სახეზეა მაშინ, როდესაც მხარეს, რომელიც გათავისუფლდა შემხვედრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან ხელშეკრულებიდან გასვლის გამო, უფლება აქვს, მოითხოვოს სხვაობა შეპირებულ შესრულებასა და ნივთის საბაზრო ღირებულებას შორის. მაგ.: ა-მ (მყიდველი) ბ-სთან (გამყიდველი) დადო ნასყიდობის ხელშეკრულება 100 ევროს ღირებულების მქონე ანტიკვარული ნივთის 90 ევროს ფასად გადაცემის თაობაზე, თუმცა ბ-მ არ შეასრულა ნივთის გადაცემის მოვალეობა. ამ შემთხვევაში ა თავისუფლდება შემხვედრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან და უფლებამოსილია, ბ-საგან მოითხოვოს ის 10 ევრო, რომლითაც მიიღებდა სარგებელს ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში.¹⁰⁶ გსკ-ის 323-ე და 324-ე პარაგრაფებით ხელშეკრულებიდან გასვლისათვის დადგენილი წინაპირობები მეტწილად ასახულია გსკ-ის 281-ე და 282-ე პარაგრაფებში, რომლებიც ადგენენ ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს.¹⁰⁷ ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, რომლის მოთხოვნას ბრალი არ სჭირდება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ვალდებულების ბრალეულად დარღვევისას, თუ კრედიტორს მიადგა ზიანი.¹⁰⁸ ზიანის ანაზღაურებას აქვს გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრული წინაპირობები:

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებია:

1. მხარეთა ნამდვილი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (დაცული უნდა იყოს გარიგების ნამდვილობის ზოგადი პირობები);
2. ერთ-ერთი მხარის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის გზით, რამაც განაპირობა ხელშეკრულებიდან გასვლა;
3. სახეზე უნდა იყოს ფაქტობრივად დამდგარი ზიანი;

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი, გადანყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმო და ვაკოტრების საქმეებზე, 2004, 6, 1352-1355.

¹⁰⁴ *Schlechtriem*, 56-ე სქ.

¹⁰⁵ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 442.

¹⁰⁶ იქვე, 455.

¹⁰⁷ *Zimmermann*, მე-12 სქ., 38.

¹⁰⁸ *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 98.

სამაგისტრო ნაშრომები

4. დამდგარი ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან;

5. როგორც წესი, ვალდებულების დარღვევა ბრალეული უნდა იყოს.

6.2.1.1 ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების ნამდვილობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (ამავე დროს, ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად ზიანის კომპინაციისას) აუცილებელია, რომ მოთხოვნის საფუძველი – ხელშეკრულება იყოს ნამდვილი და დაცული იყოს გარიგების ნამდვილობის ზოგადი პირობები.

6.2.1.2 მართლსაწინააღმდეგო ქმედება

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ზიანის მიყენება ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ასეთი ქმედების შედეგად ირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ქმედება მოიცავს როგორც აქტიურ მოქმედებას, – მაგ.: მოვალემ იცოდა, რომ ნივთი იყო ნაკლიანი და განზრახ მიანოდა კრედიტორს, – ისე უმოქმედობას, როდესაც პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (მაგ.: მოვალემ კრედიტორს არ მიანოდა ნივთი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში).

6.2.1.3 ზიანი

ზიანი არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგი. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი,¹⁰⁹ ანუ სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი.

სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგია. ზიანი სავარაუდო უნდა იყოს ხელშეკრულების დადების მომენტში. ეს ისეთი ზიანია, რომელიც სავარაუდო იქნებოდა ნებისმიერი გონიერი ადამიანისათვის.

6.2.1.4 მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი ზიანის ანაზღაურების აუცილებელი წინაპირობაა. ზიანი არ ანაზღაურდება, თუ მოვალის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობს უშუალო მიზეზობრივი კავშირი.

6.2.1.5 ბრალის ელემენტი, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობა

ა) ბრალის აუცილებლობა

ბრალის პრინციპი ზიანის ანაზღაურებისას გერმანულ სამართალში აქსიომაა.¹¹⁰ გსკ-ის 280-ე | პარაგრაფი ადგენს ძირითად წესს, რომ ვალდებულების დარღვევა ზიანის ანაზღაურების უფლებას წარმოშობს, თუ მოვალე პასუხისმგებელი იყო ამ დარღვევაზე.

¹⁰⁹ *Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Allgemeiner Teil, 14. Auflage, 426-431*, ციტირებულია: *ზოიძე*, 21-ე სქ., 366.

¹¹⁰ *Markenit/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 444.

ბრალის ცნების ქვეშ იგულისხმება როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა. ამ პოზიციას იზიარებს სსკ-ის 395-ე მუხლი. სამოქალაქო სამართალში გაუფრთხილებლობა უფრო გავრცელებულია, უფრო ზუსტად, უხეში გაუფრთხილებლობა.¹¹¹

მტკიცების ტვირთი, რომ დარღვევა არ იყო გამოწვეული მოვალის ბრალით, აწევს მთლიანად მოვალეს.¹¹²

გასვლასთან ზიანის ანაზღაურების კომბინაციის შესაძლებლობა ყოველთვის არ არის განხორციელებადი, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება განხორციელდეს ბრალის მიუხედავად, ხოლო თუ ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალი არ იკვეთება, ზიანი არ ანაზღაურდება.

ბ) ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა

თუმცა როგორც ქართული, ისე გერმანული სამოქალაქო კოდექსები ზიანის ანაზღაურებისას განამტკიცებს ბრალის ელემენტს, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამონაკლისია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან, რომელიც არსებობს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში.¹¹³ სსკ-ის 395-ე I მუხლის მიხედვით, „მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ აქედან ირკვევა, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულებით განისაზღვრება, მაგრამ უნდა თავსდებოდეს ბრუნვის მონაწილისათვის წაყენებულ სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებში.¹¹⁴ თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სსკ-ის ნორმებში. მაგ.: 402-ე მუხლის მიხედვით, მოვალე პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

გ) პასუხისმგებლობა წარმომადგენლის ბრალის გამო

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ფორმად მარწმუნებლის პასუხისმგებლობა წარმომადგენლის ან იმ პირის ქმედების გამო, რომელსაც იყენებს თავისი ვალდებულების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში მარწმუნებელი ვალდებულია, ამ პირების ბრალეული მოქმედების გამო ისეთივე მოცულობით აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების შემთხვევაში.¹¹⁵

6.2.2 ზიანის ანაზღაურების წესი და ფარგლები

ა) ნატურით ანაზღაურების უპირატესობა

ზიანი გსკ-ის 249-ე (1) პარაგრაფის მიხედვით, ანაზღაურდება ნატურით (*Naturalrestitution*).¹¹⁶ თუმცა ზოგჯერ ნატურით ანაზღაურების ნაცვლად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ფულადი

¹¹¹ ზოიძე, 21-ე სქ., 385.

¹¹² Lowisch, მე-16 სქ.

¹¹³ ზოიძე, 21-ე სქ., 387.

¹¹⁴ იქვე, 388.

¹¹⁵ შეად. სსკ-ის 396-ე მუხლი.

¹¹⁶ Markenit/Unberath/Johnston, მე-9 სქ., 479.

სამაგისტრო ნაშრომები

სახით ანაზღაურება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ნატურით ანაზღაურება შეუძლებელია ან არასაკმარისია კრედიტორისათვის (გსკ-ის 251-ე პარაგრაფი), ან კიდევ, როცა ნატურით შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების გაღება მოვალის მხრიდან.¹¹⁷

ზიანი ანაზღაურდება გსკ-ის მსგავსად. სსკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

ბ. ზიანის ანაზღაურების ფარგლები

ზიანის ანაზღაურებას, უპირველესად, აქვს კომპენსაციის ფუნქცია, რადგან ანაზღაურდება იმ ოდენობით, რა ზარალიც გამოიწვია დაზარალებული მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობამ.¹¹⁸ ზიანი გამოითვლება იმის მიხედვით, რა ზიანიც განიცადა კრედიტორმა ვალდებულების შეუსრულებლობით და არა იმის მიხედვით, თუ რა სარგებელი მიიღო მოვალემ ხელშეკრულებიდან. სახელშეკრულებო ზიანის შესაძლო სიდიდე სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებშია.¹¹⁹ ზიანი არ ანაზღაურდება რესტიტუციის წესების მიხედვით.¹²⁰

შესრულების შეუძლებლობისას, როცა სახეზეა დაუძლეველი ძალა და შეუსრულებლობა გამონეველია ისეთი გარემოებებით, რომლებიც მოვალის ნებაზე არაა დამოკიდებული, ზიანი არ ანაზღაურდება ბრალის არარსებობის გამო. ხოლო შესრულების თავდაპირველი და მოგვიანებით შეუძლებლობისას ზიანი შესაძლოა ანაზღაურდეს, თუ დამტკიცდება ბრალის არსებობა.

ანაზღაურებადია როგორც პირდაპირი (დადებითი) ზიანი, რაც მოვალის ქმედების უშუალო შედეგია, ისე ზიანი მიუღებელი (სავარაუდო) შემოსავლისათვის. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მაგ.: ტაქსისტს უნდა აუნაზღაურდეს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც ავტომობილის შეკეთებისათვის საჭირო პერიოდის განმავლობაში მიიღებდა.¹²¹

III. ხელშეკრულების მოშლა

1. არსი და ფუნქცია

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით მოქმედებს ხელშეკრულების მოშლის (*Kündigung*, გსკ-ის 314-ე პარაგრაფი) ინსტიტუტი მხოლოდ მომავალში შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით.¹²² გრძელვადიანი ხელშეკრულებების შესრულებისათვის არ არის საკმარისი ერთი მოქმედების განხორციელება მხარეთა მხრიდან, არამედ ასეთი ხელშეკრულებები მოითხოვენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში განგრძობად შესრულებას.¹²³ გრძელვადიანი ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

¹¹⁷ იქვე, 479.

¹¹⁸ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 443.

¹¹⁹ *ზოიძე*, 21-ე სქ., 366.

¹²⁰ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 443.

¹²¹ იქვე, 464.

¹²² *Schlechtriem*, 56-ე სქ.

¹²³ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 436.

ხელშეკრულების მოშლის ფუნქცია არის არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნება, არამედ შესრულებაზე მომავალში უარის თქმა. ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებისათვის მხარემ უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წინაპირობები.

2. ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები

ა) „პატივსადები საფუძველი“

სსკ-ის 399-ე მუხლი, გსკ-ის 314-ე პარაგრაფის მსგავსად, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლას საპატიო მიზეზის არსებობას უკავშირებს.¹²⁴ „პატივსადები საფუძველი“ ცნებას სსკ, ისევე როგორც გსკ განმარტავს როგორც კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ან დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოქმნილ სიტუაციას. პატივსადები საფუძველი აბათილებს ხელშეკრულების მოშლისათვის ხელშეკრულებით ან კანონით განსაზღვრულ ვადებს, რადგან მათი დაცვის შემთხვევაში შეიძლება მხარის ინტერესებს სერიოზული საფრთხე შეექმნას.¹²⁵ თუ რა ჩაითვლება პატივსადებ მიზეზად, სასამართლო პრაქტიკის შეფასების სფეროა.

პატივსადები საფუძველი შეცვლილ გარემოებათა შედეგად გამონვეული მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რომლებიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს რისკების გადანაწილებისას ხელშეკრულების დადების დროს.¹²⁶

გარემოებების შეცვლა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ის გავლენას ახდენს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ორმხრივი ვალდებულების შესრულებაზე. როგორც გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, პატივსადები საფუძველით ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გონივრული ვარაუდის შედეგად არ არის მოსალოდნელი, რომ ხელშეკრულების გაგრძელება და მისი შეთანხმებულ ვადაში შესრულება შესაძლებელი იქნება.¹²⁷ გსკ-ის პრაქტიკის მიხედვით, დამქირავებლის წინააღმდეგ გაკოტრების საქმის აღძვრა დამქირავებლისათვის საკმარისია, რომ პატივსადები საფუძველით მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.¹²⁸ ვინაიდან ეს გარემოება მხარეს საფუძველს აძლევს, გონივრულად ივარაუდოს, რომ მომავალში ხელშეკრულების შესრულებას სერიოზული საფრთხე შეექმნება.

სსკ-ის 399-ე | მუხლი, გსკ-ის 314-ე | პარაგრაფის მსგავსად, ხელშეკრულების მოშლის პატივსადებ მიზეზთა შორის ასახელებს მხარეთა ორმხრივ ინტერესს. მაგ.: როცა მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, ან წარმოიშობა საფრთხე, რომ ტურისტს მიაღებება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება.¹²⁹

ამასთან, პატივსადები საფუძველი სამოქალაქო სამართალში არა მარტო ხელშეკრულების შეწყვეტის, არამედ ზოგჯერ მისი გაგრძელების საფუძველიც კი ხდება.¹³⁰ მაგ.: თუ მინის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის

¹²⁴ *Dessementet*, Position Paper with Draft Provisions on Termination of Long-Term Contracts For Just Cause, <http://www.unidroit.org/english/documents/2007/study50/s-50-104-e.pdf> (25.12.2007).

¹²⁵ *ზოიდე*, 21-ე სქ., 410.

¹²⁶ *Dessementet*, მე-12 სქ., 5.

¹²⁷ Decision of the German Supreme Court, KZR 19/02, ციტირებულია: *Dessementet*, 124-ე სქ., 5.

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ *ზოიდე*, 21-ე სქ., 412.

¹³⁰ იქვე, 21-ე სქ., 413.

მოშლა, თუნდაც ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარისა და მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას არა აქვს გამართლება თვით მიიჯარის პატივსადები ინტერესებითაც კი.

ბ) ხელშეკრულების დარღვევა

როგორც წესი, პატივსადები საფუძველი არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების დარღვევასთან, თუმცა სსკ-ის 399-ე II მუხლი ხელშეკრულების მოშლის წინაპირობად განსაზღვრავს ასევე დარღვევასაც. თავისი შინაარსით პატივსადები საფუძველი ფართოა და ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს დარღვევასაც. თუ სახეზეა არსებითი დარღვევა, იგი ხდება ხელშეკრულების მოშლის არსებითი საფუძველი, თუმცა ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ.¹³¹ ამასთან, დამატებითი ვადა ან გაფრთხილება არაა საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება.

ხელშეკრულების მოშლა შეიძლება გამოიწვიოს დაცვის ვალდებულების დარღვევამ.¹³² მათი შინაარსის განსაზღვრა შეუძლებელია ხელშეკრულების დადების მომენტში, იგი წარმოჩნდება მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიმდინარეობისა და განვითარების პროცესში.¹³³

გ) დამატებითი ვადა და გაფრთხილება

პატივსადები საფუძველი გამოიცხადებს მეორე მხარისათვის დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნას.

განსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ორივე მხარეს შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება, მხოლოდ ამის თაობაზე აუცილებელია წინასწარი გაფრთხილება. თუ რამდენი ხნით ადრე უნდა მოხდეს გაფრთხილება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, დამოკიდებულია ხელშეკრულების ხასიათსა და იმ მხარეზე, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების მოშლას.¹³⁴ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის უფლება არის ზოგადი და არ არის საჭირო, მოშლის უფლების განხორციელებისათვის მხარემ ხელშეკრულება დაარღვიოს.

როცა საქმე შეეხება სსკ-ის 399-ე II მუხლით განსაზღვრულ შემთხვევას, კერძოდ: ხელშეკრულების მოშლის საფუძველი ხელშეკრულების დარღვევაა, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისათვის მიცემული ვადის უშედეგო გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ.¹³⁵ თუ დარღვევა აშკარად არსებითია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უბრალოდ გაფრთხილება, ყოველგვარი ვადის დაწესების გარეშე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული საქმის ყველა გარემოება, მხარეთა ორმხრივი ინტერესი და უნდა იკვეთებოდეს, რომ ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან დამატებითი ვადის ამონურვამდე არის შეუძლებელი.¹³⁶

¹³¹ იქვე, 21-ე სქ., 413.

¹³² *მაჩალაძე*, მე-4 სქ., 93.

¹³³ სსკ-ის 316-ე მუხლი.

¹³⁴ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 436.

¹³⁵ *ზოიძე*, 21-ე სქ., 413.

¹³⁶ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 437.

3. ხელშეკრულების მოშლის შედეგები

3.1 ხელშეკრულების მოშლის ზოგადი შედეგები

ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით, ამიტომ მიღებული შესრულების უკან დაბრუნება, კერძოდ რესტიტუციის რეჟიმი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, როგორც წესი, არ ვრცელდება.¹³⁷ ხელშეკრულების მოშლის შედეგად მთავრდება მხარეთა ვალდებულების შესრულების მოვალეობა მოშლის მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულების მოშლის შედეგები (გამონაკლისი ზოგადი წესიდან)

3.2.1 რესტიტუცია ხელშეკრულების მოშლისას

ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი: როცა უკვე შესრულებული არანაირად აღარ არის საინტერესო უფლებამოსილი პირისათვის ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა ამ შესრულებაზეც შეიძლება გავრცელდეს.¹³⁸ გამოდის, რომ ხელშეკრულების მოშლასაც შეიძლება მიეცეს უკუძალა ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში მოშლაზე გავრცელდება 352-ე-354-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებს. კერძოდ, თუ ხელშეკრულების მოშლას აქვს უკუძალა, შესრულება დაბრუნდება ნატურით.

3.2.2 ზიანის ანაზღაურება

შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლასთან ერთად ზიანის ანაზღაურების კომბინაცია გსკ-ის 314-ე პარაგრაფის შესაბამისად.

ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, თუ სახეზეა მოვალის ბრალი, სსკ-ის 399-ე V მუხლის შესაბამისად, ზიანი ანაზღაურდება 407-ე მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

IV. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა ცალკეული ხელშეკრულების მიხედვით (ნასყიდობა, ნარდობა, ქირავნობა, იჯარა)

ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები განხილულ იქნა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მიხედვით, რომელიც ადგენს ზოგად ნორმებს, მაგრამ მათ შორის განსხვავებისა და სამართლებრივი შედეგების გამოკვეთა შეუძლებელი იქნება ცალკეული ტიპური ხელშეკრულებების ანალიზის გარეშე, რომლებიც ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში არის ნასყიდობა და ნარდობა; გრძელვადიან ხელშეკრულებებთან მიმართებით ყველაზე ტიპურია ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებები. ცალკეული ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები ხშირად ადგენენ ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებულ წესებს, სწორედ ამ მიმართულებით არის საინტერესო და აუცილებელი მათი კვლევა ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, რადგან ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებისა და კერძო ნაწილის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მოქმედებს სპეციალურობის პრინციპი: ზოგად დებულებებში არსებული ყველა

¹³⁷ იქვე, მე-9 სქ., 436.

¹³⁸ *ზოიძე*, 21-ე სქ., 415.

ნორმა ვრცელდება კერძო ნაწილში განთავსებულ ხელშეკრულებაზე, თუ კერძო ნაწილი არ შეიცავს უფრო კონკრეტულ, სპეციალურ ნორმას.¹³⁹

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულება ჯერ კიდევ რომაულ სამართალში იქნა მიჩნეული სახელშეკრულებო სამართლის ყველაზე ტიპურ ხელშეკრულებად.¹⁴⁰ ნასყიდობის მაგალითზე ყველაზე ნათლად ჩანს ხელშეკრულებიდან გასვლის არსი და სამართლებრივი შედეგები.

გსკ-ის 433-ე პარაგრაფის შესაბამისად, გამყიდველის პირველადი მოვალეობაა, მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი და მასზე საკუთრების უფლება. ძირითადი მოვალეობების დარღვევა, 311-ე პარაგრაფით გათვალისწინებული წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა და 241-ე პარაგრაფით განსაზღვრული მოვალეობათა დარღვევა, რომლებიც არაა დაკავშირებული შესრულებასთან, იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენებას.¹⁴¹

კრედიტორი უფლებამოსილია, მეორადი მოთხოვნის უფლება შეარჩიოს თავისი ინტერესების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა ისეთი ხასიათისაა, რომ კრედიტორს აღარ აქვს მოვალისაგან შესრულების მიღების ინტერესი, მას უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურება და განუული დანახარჯების ანაზღაურება.¹⁴² დანახარჯებში იგულისხმება ის თანხები, რომლებიც კრედიტორმა გაიღო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა. მაგ.: მოვალემ საქონლის მიწოდების ვალდებულება არ შეასრულა, ხოლო კრედიტორს საქონლის შესანახად უკვე ნაქირავები ჰქონდა საწყობი.¹⁴³ ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს საწყობის დაქირავებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება განუული დანახარჯის სახით.

ნასყიდობაში ხელშეკრულებიდან გასვლისას გამოიყენება ზოგადი ნაწილის ნორმები, გსკ-ის 323-ე პარაგრაფი და სსკ-ის 405-ე მუხლი. კერძოდ, ზოგადი ნაწილის ნორმების შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის განხორციელებისათვის საჭირო არ არის ბრალის ელემენტი.

კრედიტორს გასვლის უფლება არა აქვს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. ამ შემთხვევაშიც მითითება ხდება ზოგად ნორმებზე. თუ დარღვევა უმნიშვნელოა, გასვლის უფლება ვერ განხორციელდება, ამასთან, გსკ-ის 440-ე პარაგრაფის თანახმად, ვადის განსაზღვრა აუცილებელი არ არის, თუ მყიდველმა უარი თქვა ნაკლის გამოსწორების ორივე ფორმაზე (ნაკლის აღმოფხვრა ან ახალი უნაკლო ნივთით შეცვლა), ან მყიდველის მიერ ნაკლის გამოსწორების მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, ან კიდევ აღარ ივარაუდება შესრულების მოთხოვნა.¹⁴⁴

სსკ-ის მიხედვით, ნასყიდობის მომწესრიგებელ თავში ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალური წინაპირობები არ არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლაზე მთლიანად გავრცელდება ზოგადი ნაწილის ნორმები. სსკ-ის 491-ე I მუხლი შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლას და უთითებს 352-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებს. შედეგებთან დაკავშირებით სპეციალური წესი დადგენილია 491-ე II მუხლით, კერძოდ მყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან

¹³⁹ შეად. სსკ-ის მე-2 II მუხლი.

¹⁴⁰ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 493.

¹⁴¹ *ჩაჩავა*, მე-20 სქ., 40.

¹⁴² იქვე, 42.

¹⁴³ *Markenis/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 512.

¹⁴⁴ *ჩაჩავა*, მე-20 სქ., 44.

გასვლის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მყიდველს განეული დანახარჯები. განეულ დანახარჯებში იგულისხმება ნივთის ტრანსპორტირებასა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები.¹⁴⁵

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საინტერესოა 352-ე V მუხლთან მიმართებით, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია, რომელიც ხორციელდება 407-ე მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი სპეციალური შემთხვევა მოწესრიგებულია 494-ე II მუხლის მიხედვით. მყიდველი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მან იცოდა საგნის ნაკლის შესახებ.¹⁴⁶

2. ნარდობის ხელშეკრულება

2.1 ხელშეკრულებიდან გასვლა

გსკ-ის 631-ე პარაგრაფის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებულია, დაუმზადოს შემკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. გსკ-ის 634-ე პარაგრაფი ადგენს, რომ თუ სახეზეა არაჯეროვანი შესრულება, შემკვეთს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ეს ნორმა მოქმედებს 323-ე და 326-ე პარაგრაფებთან ერთად. თუ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია, 323-ე I პარაგრაფის მიხედვით, შემკვეთმა პირველ რიგში მენარდეს უნდა დაუნესოს ვადა შესრულებისათვის. თუ გამოსწორება შეუძლებელია, ვადის დანესება არაა საჭირო და კრედიტორი ავტომატურად თავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან. (გსკ-ის 326-ე I პარაგრაფი).¹⁴⁷

ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი) ნივთის ნაკლის გამო მოწესრიგებულია სსკ-ის 644-ე მუხლით, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების შესახებ, თავის მხრივ, მიუთითებს 405-ე მუხლზე. აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის განხორციელებისათვის ნაკლი უნდა იყოს არსებითი. ამასთან, საჭიროა დამატებითი ვადის დანიშვნა ნაკლის გამოსწორებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამატებითი ვადის დანიშვნას შედეგი არ მოჰყვება. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, მენარდე ვალდებულია, აანაზღაუროს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. თუ დარღვევა ბრალეული მოქმედებით არის გამოწვეული, დამრღვევი მხარე ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით სპეციალური წესები არ არის დადგენილი.

სსკ-ის ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავში არის სპეციალური 636-ე მუხლი, რომელიც შეესაბამება გსკ-ის 649-ე I პარაგრაფს. ეს მუხლები შეეხება ნარდობის ხელშეკრულების მოშლას. შემკვეთის ინიციატივით შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარი ნებისმიერ დროს, სამუშაოს დასრულებამდე, ამისათვის მხოლოდ მენარდის გაფრთხილებაა საკმარისი. გერმანულ სამართალში ხელშეკრულებაზე უარი არაა დამოკიდებული, მეორე მხარე დაეთანხმება თუ არა ხელშეკრულების შეწყვეტას.¹⁴⁸ შემკვეთი არ არღვევს ხელშეკრულებას, უბრალოდ სურს ხელშეკრულების მოშლა ვადაზე ადრე. მენარდეს უნდა აუნაზ-

¹⁴⁵ შეად. კახაძე, *ჭანტურია/ნინიძე/ზოიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი IV, ტომი I, 2001, 36.

¹⁴⁶ ჩაჩავა, მე-20 სქ., 59.

¹⁴⁷ *Markenit/Unberath/Johnston*, მე-9 სქ., 526.

¹⁴⁸ იქვე, მე-9 სქ., 522.

დაურდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. მენარდე დაუბრუნებს შემკვეთს მასალას, თუ ის შემკვეთმა გადასცა. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი არ არის საჭირო, სახეზეა ხელშეკრულების მოშლა.

ნარდობა, ნასყიდობის მსგავსად, ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომელიც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან. შედეგების თვალსაზრისითაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ხელშეკრულების მოშლა, რაც იმ ზოგადი წესიდან გამონაკლისია, რომ ხელშეკრულების მოშლა გამოიყენება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან.¹⁴⁹

ხელშეკრულების მოშლა საკუთარი ინიციატივით შეუძლია მენარდესაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემკვეთმა შეძლოს შესრულების სხვაგვარად მიღება.¹⁵⁰ აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა მენარდეს არ უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე.¹⁵¹ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო შემკვეთი განიცდის ზიანს, მენარდემ უნდა აუნაზღაუროს იგი. მენარდე გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. მაგ.: მნიშვნელოვან საფუძველად ჩაითვლება 647-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, როცა, მენარდის გაფრთხილების მიუხედავად, შემკვეთი არ ცვლის უხარისხო მასალას.¹⁵²

3. ქირავნობა

ქირავნობის ხელშეკრულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ტიპური გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა. სსკ-ის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის მომწესრიგებელი ნორმები მრავალფეროვანია და ასახავს მოშლის ცალკეულ შემთხვევებს. ხელშეკრულების მოშლის კანონისმიერი ვადა დადგენილია სსკ-ის 561-ე მუხლით და შეადგენს 3 თვეს, თუ საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სამთვინი ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა მხარემ შეიტყო, ან უნდა შეეტყო ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.¹⁵³

ა) დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების მოშლა ვადის დაცვის გარეშე

ხელშეკრულებაზე უარის უფლებას ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადის დაცვის გარეშე ითვალისწინებს სსკ-ის 541-ე მუხლი. კერძოდ, თუ ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ დამქირავებელს გადაეცა მოგვიანებით, ან შემდგომში წაერთვა სარგებლობის უფლება, დამქირავებელს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მოშლისათვის დადგენილი ვადის დაუცველად, თუმცა უარის თქმამდე დამქირავებელს უნიშნავს გონივრულ ვადას, რათა აღკვეთოს სარგებლობისათვის ხელისშემშლელი გარემოებები.

დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, როცა დამქირავებელმა იმ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს, ხელშეკრულების მიმართ ინტერესი დაკარგა.

¹⁴⁹ *Schlechtriem*, 56-ე სქ.

¹⁵⁰ სსკ-ის 637-ე მუხლი.

¹⁵¹ *ძლიერიშვილი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ I, 260.

¹⁵² *ძლიერიშვილი*, 151-ე სქ., 261.

¹⁵³ *ჩიკვაშვილი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ I, 133.

ხელშეკრულების მოშლასთან ერთად დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება, თუ დარღვევა გამონკვეული იყო გამქირავებლის ბრალით.

დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის გათვალისწინებული ვადის დაცვის გარეშე შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება, თუ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფად გათვალისწინებული სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ეს უფლება დამქირავებელს უნარჩუნდება იმის მიუხედავად, თუ ხელშეკრულების დადებისას იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ პრეტენზია არ განუცხადებია.

ბ) ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა პატივსადები მიზეზის გამო

განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა დამქირავებელს შეუძლია კანონით დადგენილი პატივსადები მიზეზების არსებობისას. სსკ-ის 562-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა და განსაზღვრავს პატივსადებ მიზეზებს. პატივსადები მიზეზი შესაძლოა უკავშირდებოდეს ვალდებულების დარღვევას, მაგ.: სსკ-ის 562-ე II (ა) პატივსადებ მიზეზად მიუთითებს დამქირავებლის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების ბრალეულად დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა ბრალის მომენტი, ვინაიდან ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელება დამოკიდებულია დამქირავებლის ბრალეულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე.¹⁵⁴ მნიშვნელოვანი დარღვევა შეიძლება იყოს, როცა მხარემ დააზიანა ქირავნობის საგანი, ან ნივთი მესამე პირს გადასცა სარგებლობაში დამქირავებლის ნებართვის გარეშე.

პატივსადები მიზეზი არ არის მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. დამქირავებლის მიერ დამქირავებლის მიმართ ისეთი ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელიც გამორიცხავს მომავალში მათ შორის ურთიერთობის გაგრძელებას, არის პატივსადები საფუძველი ხელშეკრულების მოშლისათვის.

გამქირავებელი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება, თუ დამქირავებელს ბინა სჭირდება უშუალოდ თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის ან კიდევ დამქირავებული უარზეა, გადაიხადოს საბაზრო ფასის შესაბამისად გაზრდილი ქირა.¹⁵⁵

ხელშეკრულების მოშლის პროცედურა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა არის პატივსადები საფუძველი. თუ პატივსადები საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა, მაშინ, სსკ-ის 399-ე II მუხლის შესაბამისად, აუცილებელია ნაკლის გამოსწორებისათვის ვადის დაწესება და ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ ამონურვის შემთხვევაში. დამატებით ვადასთან დაკავშირებით გამოიყენება სსკ-ის 405-ე II მუხლი. თუ პატივსადები მიზეზი არ უკავშირდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, მაგალითად, დამქირავებელი ხელშეკრულებას შლის იმის გამო, რომ დამქირავებელმა მის მიმართ ჩაიდინა ამორალური საქციელი, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის სამთვიანი ვადის დაცვა არაა საჭირო, ვინაიდან პატივსადები მიზეზი აბათილებს ამ ვადებს.

გ) ათ წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

სპეციალური წესია დადგენილი ათ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებების მოშლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ასეთი ხელშეკრულებები ათი წლის გასვლის შემდეგ

¹⁵⁴ ჩიკვაშვილი, 153-ე სქ., 134.

¹⁵⁵ სსკ-ის 562-ე მუხლი.

ითვლება განსაზღვრული ვადით დადებულ ხელშეკრულებებზე და მოშლისათვის საკმარისია მხოლოდ სამთვიანი ვადის დაცვა.¹⁵⁶

დ) ხელშეკრულების ვადამდე მოშლა ქირის გადაუხდელობის გამო

სსკ-ის 558-ე მუხლი ცალკე შეეხება ქირის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევას და ადგენს, რომ თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება და დამქირავებელს არ გადაუხდია 3 თვის განმავლობაში, გამქირავებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება დამქირავებლისათვის მოშლის თაობაზე შეტყობინებით, მხოლოდ ხელშეკრულების მოშლისათვის კანონით დადგენილი ვადის დაცვით.¹⁵⁷

4. იჯარა

იჯარის ხელშეკრულებაზე ვრცელდება ქირავნობის ხელშეკრულების ნორმები, თუმცა კანონით ასევე დადგენილია სპეციალური წესები.

იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარის ძირითადი ვალდებულებაა საიჯარო ქირის გადახდა. თუ მოიჯარე არ იხდის ქირას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ეს განიხილება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებადა და იწვევს მოიჯარის პასუხისმგებლობას. ამ და სხვა შემთხვევებშიც, როცა სახეზეა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, მხარეებს შეუძლიათ იჯარის ხელშეკრულების მოშლა ამისათვის სპეციალურად დადგენილ ვადაში და ეს იწვევს, ჩვეულებრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას სამომავლოდ, ზოგადად, მოშლის წესების მიხედვით. სსკ-ის 561-ე მუხლის შესაბამისად, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილია 3-თვიანი ვადა.

ხშირად იქმნება ისეთი გარემოებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევასთან და სახეზეა პატივსაღები მიზეზები, რომელთა არსებობისას გამართლებულია ხელშეკრულების მოშლა დადგენილ ვადაზე ადრე, ვინაიდან ხელშეკრულების გაგრძელება შეუძლებელია ვადის ამონურვამდე. ასეთი პატივსაღები საფუძვლების არსებობისას იჯარის ხელშეკრულების მოშლა ხდება დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ვადის განსაზღვრის გარეშე.

როგორც გსკ-ის, ისე სსკ-ის შესაბამისი ნორმები განსაზღვრავს პატივსაღებ მიზეზებს. პატივსაღები მიზეზი ზოგჯერ დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან, ზოგჯერ დარღვევა საერთოდ არ არის სახეზე.

იჯარის ხელშეკრულების მოშლა გაფრთხილების საშუალებით წესრიგდება სპეციალური ნორმებით და მასზე არ ვრცელდება გსკ-ის 314-ე პარაგრაფი, არამედ მითითება ხდება ხელშეკრულებიდან გასვლის წესებზე, კერძოდ 323-ე პარაგრაფზე, რომელსაც აქვს უკუძალა ხელშეკრულების შედეგების მიმართ და რომელიც გამონაკლისის სახით ვრცელდება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.¹⁵⁸ ასეთ მოშლას უწოდებენ ექსტრაორდინარულ მოშლას და მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულების მოშლა განპირობებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევით.¹⁵⁹

¹⁵⁶ ჩიკვაშვილი, 154-ე სქ., 142.

¹⁵⁷ იქვე, 128.

¹⁵⁸ Markenit/Unberath/Johnston, მე-9 სქ., 534.

¹⁵⁹ იქვე, 539.

გსკ-ის 543-ე პარაგრაფი ადგენს იჯარის ხელშეკრულების მოშლას დაუყოვნებლივ, როცა კონკრეტული ხელშეკრულების გარემოებათა გათვალისწინებით აზრი არა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას (ექსტრაორდინარული მოშლა).¹⁶⁰

პატივსაცემი მიზეზი იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის ჩამოთვლილია გსკ-ის 569-ე პარაგრაფში და მსგავსია სსკ-ის 562-ე მუხლით დადგენილი გარემოებებისა.

თუ ექსტრაორდინარული გარემოება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაცაა, მეიჯარე პირველ რიგში აფრთხილებს მოიჯარეს, გამოასწოროს დარღვევა შესაბამისი ვადის მითითებით. თუმცა გაფრთხილება საჭირო არაა, თუ:

ა) აშკარაა, რომ უსარგებლო იქნება;

ბ) განსაკუთრებული გარემოებებისა და მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.¹⁶¹

სსკ-ის 589-ე II მუხლის შესაბამისად, თუ იჯარის ხელშეკრულება უვადოდ არის დადებული, მოშლა შესაძლებელია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის. ამ შემთხვევაში მოშლის სპეციალური ვადაა დადგენილი. ეს უკვე სპეციალური წესია ქირავნობისაგან განსხვავებით, რაც განპირობებულია იჯარის ხელშეკრულების თავისებურებით. კერძოდ, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ აღნიშნულის თაობაზე წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს საიჯარო წლის დამთავრებამდე, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს: თუ ინიციატორი მოიჯარეა, ზემოაღნიშნული ვადა საჭიროა იმდენად, რამდენადაც მეიჯარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, ახალი საიჯარო წლის დასაწყისისათვის მოძებნოს მისთვის მისაღები მოიჯარე, ხოლო თუ ინიციატივა მოდის მეიჯარისაგან, საიჯარო წლის ბოლომდე წერილობითი გაფრთხილების მოვალეობა მოიჯარეს დაიცავს იმ ხარჯების განვისა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებისაგან, რასაც აპირებდა, ხელშეკრულების მოშლის თაობაზე ინიციატივა რომ არ წარმოშობილიყო.¹⁶²

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვაგვარად. მაგ.: საიჯარო ქირის გადაუხდელობა იჯარის ხელშეკრულების დარღვევის ყველაზე ტიპური შემთხვევაა და მეიჯარეს უფლება აქვს, მოშალოს ხელშეკრულება.

იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის სსკ-ის 590-ე მუხლი ადგენს განსაკუთრებულ საფუძველს – იჯარის ხელშეკრულების მოშლა მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში შეუძლიათ მოიჯარის მემკვიდრეებს კალენდარული წლის დამთავრებიდან 6 თვის ვადაში, თუმცა მოიჯარის გარდაცვალება არ არის საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის უპირობო საფუძველი. კანონი მოშლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას უტოვებს გარდაცვლილის მემკვიდრეებს და მეიჯარეს.¹⁶³ ქირავნობის შემთხვევაში მსგავსი ნორმა არ არსებობს.

ამასთან, მეიჯარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა თავისი და თავისი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ მოიჯარის მემკვიდრეები არ ენეოდნენ მასთან ერთად საიჯარო მეურნეობას.

¹⁶⁰ იქვე, 539.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² ჩიტოშვილი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი IV, ტ I, 176.

¹⁶³ იქვე, 178.

V. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის გამიჯვნა და სამართლებრივი შედეგების შედარება

ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – ორივე ინვესტორს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას, ორივე მათგანის განხორციელებისათვის საკმარისია გასვლის (მოშლის) ინიციატორი მხარის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენა.

როგორც წესი, ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება ორმხრივი მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის ანუღირებისათვის, რაც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან. გრძელვადიანი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ხელშეკრულების მოშლა.

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა ყოველთვის არის ვალდებულების არსებითი დარღვევა – იქნება ეს მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება, შესრულების შეუძლებლობა თუ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება; ასევე წინასახელშეკრულებო და იმ დამცავი ვალდებულებების დარღვევა, რომლებიც არაა დაკავშირებული შესრულებასთან. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლა განიხილება როგორც უკიდურესი ღონისძიება, განპირობებული იმით, რომ მხარემ (კრედიტორმა) დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების მიმართ და სურს ხელშეკრულების ანუღირება.

ხელშეკრულების მოშლისათვის ყოველთვის არაა აუცილებელი, სახეზე იყოს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. პატივსადავო საფუძველი, რაც ხელშეკრულების მოშლის წინაპირობაა, ხშირად არ არის დაკავშირებული ვალდებულების დარღვევასთან. მაგალითად, სსკ-ის 562-ე II (ბ) მუხლის შესაბამისად, გამქრავებელი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება, თუ „საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავისათვის.“

ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა დარღვევის გამოსწორებისათვის გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადის დანიშვნა (დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, დამატებით ვადას უთანაბრდება გაფრთხილება). მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ ამონურვის შემთხვევაში არის შესაძლებელი ხელშეკრულებიდან გასვლა. გამონაკლისი ამ წესიდან დაშვებულია სსკ-ის 405-ე II მუხლით იმ შემთხვევაში, როცა აშკარაა, რომ დამატებით ვადის დანიშვნას შედეგი არ მოჰყვება; ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულების გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; განსაკუთრებული საფუძველებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამართლებულია ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლა.

ხელშეკრულების მოშლისას თუ მოშლის საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, ინიშნება დამატებითი ვადა გამოსწორებისათვის; პატივსადავო მიზეზის შემთხვევაში, რომელიც არაა დაკავშირებული ხელშეკრულების დარღვევასთან, ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება დაუყოვნებლივ, მეორე მხარისათვის შეტყობინების საფუძველზე.

ხელშეკრულებიდან გასვლის მიზანი არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ანუღირებაა. ანუღირება გულისხმობს, რომ მხარეებს მიღებული შესრულება და სარგებელი უკან უბრუნდებათ ნატურით და აღდება პირვანდელი მდგომარეობა, თითქოს ხელშეკრულება არც კი არსებობდა.

ხელშეკრულების მოშლა ინვესტორს მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას სამომავლოდ და არა აქვს უკუძალა, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოშლისას წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა.

ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ხელშეკრულების მოშლასთან, თუ მოშლის საფუძველი ვალდებულების დარღვევა, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების კომბინაცია. ორივე შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა მოვალის ბრალის არსებობა.

ხელშეკრულების მოშლას შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები, სსკ-ის 399-ე IV მუხლის მიხედვით, თუ უკვე შესრულებული აღარ აინტერესებს უფლებამოსილ პირს; შესრულების უკან დაბრუნება ხორციელდება 352-ე-354-ე მუხლების შესაბამისად, რესტიტუციის წესების მიხედვით. მაგ.: საავიაციო ქარხანამ თვითმფრინავების ძრავების მწარმოებელ ქარხანასთან გააფორმა ხელშეკრულება 3 წლის მანძილზე 100 ცალი ძრავის მიწოდების თაობაზე, თუმცა 20 ცალი ძრავის მიწოდების შემდეგ საავიაციო ქარხანამ, რეკონსტრუქციის გამო, დაიწყო ახალი ტიპის თვითმფრინავების გამოშვება, რომელთათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძრავა არ გამოდგებოდა. ამ შემთხვევაში, თუკი ქარხანას არ გამოუყენებია ადრე მიწოდებული 20 ცალი ძრავა და არ სჭირდება, მოშლა შეიძლება გავრცელდეს, მიუწოდებელთან ერთად, უკვე მიწოდებულ 20 ძრავაზეც.¹⁶⁴

ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია ვადამდეც, თუ აშკარაა, რომ სახეზე იქნება ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველები. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს, მაგალითად, მოვალის გაკოტრებულად გამოცხადება. ამ შემთხვევაში გასვლა ხდება დაუყოვნებლივ, მოვალისათვის შეტყობინებით.

ხელშეკრულების მოშლის განსაკუთრებული შემთხვევაა ნარდობის ხელშეკრულების სსკ-ის 636-ე-637-ე მუხლები. აქ ირღვევა ის ზოგადი წესი, რომ ორმხრივ მოკლევადიან ურთიერთობებზე ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ მუხლის სპეციალურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელშეკრულებაზე უარისათვის არ არის საჭირო საფუძველი, რაც მოშლის ნიშანია და შედეგების თვალსაზრისითაც ამ მუხლზე ვრცელდება მოშლის წესები. აქედან გამომდინარე, ცალსახად თქმა, რომ მოშლა ვრცელდება მხოლოდ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, შეუძლებელია.

რაც შეეხება ტერმინ „უარს“, გამოიყენება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე ხელშეკრულების მოშლის აღსანიშნავად და დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგ.: სსკ-ის 405-ე მუხლში კანონმდებელი იყენებს „ხელშეკრულებაზე უარს“, 407-ე მუხლში კი, რომელიც 405-ე მუხლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას შეეხება, ეწოდება ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას.“ რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული მოსაზრების დასასაბუთებლად საკმარისია სსკ-ის 399-ე მუხლის სათაურის – „უარი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“ – მოტანა.

VI. დასკვნა

განხორციელებული კვლევის შედეგად გაიმიჯნა ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა, რის შედეგადაც კანონმდებლისათვის შეიძლება შეთავაზებულ იქნეს რამდენიმე რეკომენდაცია სსკ-ის სრულყოფის მიზნით:

1. სსკ-ის 491-ე მუხლის სათაურია „ხელშეკრულების მოშლა“, მაშინ, როცა კანონმდებელი პირდაპირ უთითებს 352-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ 491-ე მუხლი გულისხმობს ხელშეკრულებიდან გასვლას (უარი) და მუხლის სათაურიც უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

¹⁶⁴ ზოიძე, 21-ე სქ., 414.

სამაგისტრო ნაშრომები

2. სსკ-ის 492-ე მუხლის თანახმად, „თუ მყიდველი არ ითხოვს არც ნაკლის გამოსწორებას, არც ხელშეკრულების მოშლას, შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება. ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულებიდან გასვლა იგულისხმება, რადგან ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან, გამოიყენება გასვლა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჩაინეროს „ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი)“.

3. ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“ გამოიყენება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე ხელშეკრულების მოშლის აღსანიშნავად და, მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება, ხელშეკრულებიდან გასვლა იგულისხმა კანონმდებელმა თუ ხელშეკრულების მოშლა. „უარს“ სხვა, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომ მიზანშეწონილია, უარი მიეთითოს ხელშეკრულებიდან გასვლასთან ან მოშლასთან ერთად.